პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 1918-ე წელი | № 196 (10893) | სამშაბათი, 20 აგვისტო, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

მაღალი იდეურობა კომუნისტის განუყრელი თვისებაა

მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს ორმოცი წლის სახელოვანი გზა დამაჯერებლად მოწმობს, რომ ჩვენი ქვეყნის ხალხები მთელ თავიანთ ისტორიულ გამარჯვებებს კომუნისტური პარტიის ბრძნულ ხელმძღვანელობას უნდა უმადლოდნენ. დიდი ლენინის მიერ დაარსებული და გამოჭედილი პარტია წარმატებით ასრულებდა და ასრულებს კომუნიზმისათვის ბრძოლაში მასების ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის როლს. ჩვენი პარტიის ძალა, მისი ერთგულება მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებისადმი, საზოგადოებრივი განვითარების კანონების ღრმა ცოდნა, ხალხთან მჭიდრო და განუყრელი კავშირი.

მარქსისტულ-ლენინური თეორია ის ციხესიმაგრეა, რომელიც საფუძვლად უდევს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მთელ პოლიტიკას. მარქსიზმ-ლენინიზმის გრანიტის ბაზას ემყარება ჩვენი პარტიის რიგების ურღვევი ერთიანობა და დარაზმულობა, რაც ნიშნავს იმას, რომ თვითეული კომუნისტი აღიარებს პარტიის პროგრამასა და წესდებას, აქტიურად მონაწილეობს პარტიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში. ჩვენი პარტია მებრძოლური კავშირია თანამოაზრე და ერთად მოქმედი მებრძოლებისა, რომლებიც თავიანთი იდეური დროშის უსაზღვროდ ერთგული არიან, მთელ თავიანთ ძალებს აბმარენ ხალხის ინტერესებისადმი, კომუნიზმის საქმისადმი სამსახურს.

პარტიის იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზაციული ერთიანობა მისი უდიდესი ძალისა და უძლეველობის საწინდარია. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „ჩვენი ამოცანაა დავიცვათ ჩვენი პარტიის სიმტკიცე, სიმკვიდრე, სიწმინდე. ჩვენ უნდა ვეცადოთ სულ უფრო და უფრო ავამაღლოთ პარტიის წევრის წოდება და მნიშვნელობა...“. კომუნისტური პარტია მთელი თავისი ისტორიის მანძილზე დაუცხრომლად ზრუნავდა თავისი რიგების ერთიანობის განმტკიცებისათვის, ჰედავდა მას იმათ წინააღმდეგ ბრძოლაში, ვინც ცდილობდა შეერყია ეს ერთიანობა.

პარტია კომუნისტებს ზრდიდა და ზრდის მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისადმი უსაზღვრო ერთგულების, იმისადმი ურყევი რწმენის სულისკვეთებით, რომ მათი საქმე მართალია, რომ კომუნიზმი გაიმარჯვებს. ის გარემოება, რომ ყველა კომუნისტმა, მთელმა საბჭოთა ხალხმა ერთსულოვნად დაგმო მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვისა და მათთან მიმხრობილი შებილოვის ანტიპარტიული ჯგუფის ფრაქციული საქმიანობა, ხელს შეუწყობს ჩვენი პარტიის ლენინური ერთიანობის შემდგომ განმტკიცებას, მისი გენერალური ხაზისათვის ბრძოლის საქმეს.

რკინისებური დისციპლინით, ნებისა და მოქმედების ერთიანობით შეკავშირებული კომუნისტები მთელ ძალებს, ცოდნასა და გამოცდილებას აბმარენ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების განსურელი ზრდისათვის ბრძოლას, თავიანთი მაგალითით მშრომელთა მილიონიან მასებს მიუძღვიან იმ ისტორიული ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც დასახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ. მაღალი იდეური მიზანდასახულობა, იმის უნარი, რომ პირადი ინტერესები დაუქვემდებაროს საერთო-პარტიულ ინტერესებს, იმისათვის მზადყოფნა, რომ შეასრულოს პარტიის ყოველი დავალება — აი რა ახასიათებს კომუნისტს, რა შეადგენს მის განუყრელ თვისებებს. ნამდვილი კომუნისტი, რა პოსტზეც უნდა იყოს, ყოველთვის და ყველაფერში ხელმძღვანელობს პარტიის, სახელმწიფოს ინტერესებით. იგი გაბედულად ეგებება სიძნელეებს, შეუპოვრად ძლევს მათ; მისთვის დამახასიათებელია დაუცხრომელი მისწრაფება წინსვლისადმი, გამარჯვების ნებისყოფა.

იმ უდიდესი ამოცანების მიხედვით, რომლებიც ამჟამად ჩვენი სამშობლოს წინაშე დგას, საჭიროა პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის შემდგომი ამაღლება, პარტიის საქმისათვის ბრძოლაში ყველა კომუნისტის აქტივობისა და პასუხისმგებლობის გაძლერება. მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნას, სოფლის მეურნეობის მკვეთრ აღმავლობას, თუ პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესებას ეხება საქმე, — ყოველივე ამაში უნდა იჩენდეს თავს კომუნისტების ავანგარდული როლი, მათი ინიციატივა, მათი მაღალი იდეურობა.

როგორც აღნიშნულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებაში, თანამედროვე პირობებში ცოცხალი მარქსიზმ-ლენინიზმი, კომუნიზმის მშენებლობა არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა, განხორციელება, მრეწველობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესება, სოფლის მეურნეობის ყოველმხრივი აღმავლობისათვის, პროდუქტების სიუხვისათვის, ფართო საბინაო მშენებლობისათვის, ეროვნული კულტურების აყვავებისათვის, ხალხის მასების ინიციატივის ყოველი ღონისძიებით განვითარებისათვის ბრძოლა. ცოცხალი მარქსიზმ-ლენინიზმი აღნიშნავს მუშათა თანაარსებობის პოლიტიკის მტკიცედ განხორციელებას, ხალხთა შორის მეგობრობისათვის, სოციალისტური ბანაკის ყოველი ღონისძიებით განმტკიცებისათვის ბრძოლას.

მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის ანტიპარტიულ ჯგუფს, რომელიც მოსწყდა პარტიისა და ჩვენი ქვეყნის ცხოვრებას, არ ხურდა გაეგო ახალი პირობები, ახალი ვითარება, იჩენდა კონსერვატიზმს, ჯიუტად ებღაუჭებოდა მუშაობის დრომოჭმულ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც არ შეესაბამება კომუნიზმისაკენ წინსვლის ინტერესებს. ამით გამომჟღავნდა ანტიპარტიული ჯგუფის მონაწილეთა დოგმატური, მედავითნური, უსიცოცხლო მიდგომა მარქსიზმ-ლენინიზმისადმი — პრაქტიკული მოქმედების მარად ცოცხალი სახელმძღვანელისადმი, რომელიც ვითარდება და ისტორიული გამოცდილებით მოწმდება.

კომუნისტის იდეური მტკიცე რწმენა, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებისადმი უსაზღვრო ერთგულება ამავე დროს მოასწავებს მის მაღალ დისციპლინიანობას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების მოთხოვნების განუხრელად დაცვას. ჩვენს პარტიას საფუძვლად უდევს შეხედულებათა ერთიანობა, ნებისა და მოქმედების ერთიანობა. კომუნისტის მოვალეობაა წმიდად იცავდეს ამ ერთიანობას, გადაჭრით ებრძოდეს იმათ, ვინც ახუსტებს რკინისებრ დისციპლინას ჩვენს პარტიაში, ვინაც თავისთვის სავალდებულოდ არ მიაჩნია ასრულებდეს პარტიულ გადაწყვეტილებებს და ცდილობს ფრაქციული ბრძოლის მეთოდებით მოახვიოს თავს თავისი შეხედულებანი სხვებს.

ემყარება რა ვ. ი. ლენინის მითითებას იმის შესახებ, რომ მარქსისტები უნდა ითვალისწინებდნენ ცოცხალ ცხოვრებას, სინამდვილის ზუსტ ფაქტებს, და არა ებღაუჭებოდნენ გუშინდელი დღის დასკვნებს, ჩვენი პარტია მოძმე კომუნისტურ და მუშათა პარტიებთან მჭიდრო თანამშრომლობით შემოქმედებითად ავითარებს და ამდიდრებს მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას. ამასთან პარტია ეურდნობა სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სოციალისტური მშენებლობის, მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოცდილებას.

პარტია განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩვენი კადრების, ყველა კომუნისტის მარქსისტულ-ლენინურ განათლებას, ამავე დროს მტკიცედ უჭერს მხარს იმას, რომ ისინი შემოქმედებითად და არა დოგმატურად დაეუფლონ რევოლუციურ თეორიას და ილაშქრებს მედავითნეობისა და თალმუდიზმის წინააღმდეგ. ეს გასაგებიც არის. პოლიტიკური განათლება წარმატებითი მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს, როცა იგი მჭიდროდ დაკავშირებულია ცხოვრებასთან, იმ ამოცანებთან, რომლებსაც ამჟამად პარტია წყვეტს, როცა კომუნისტებს მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლა მიაჩნიათ სახელმძღვანელოდ თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში.

ცხოვრება გვიჩვენებს, რომ კომუნისტისათვის, თუ იგი ისწრაფვის პარტიის საქმისათვის აქტიური და პრინციპული მებრძოლი იყოს, მარტო წიგნური ცოდნა ცოტაა. მარქსისტულ-ლენინური თეორიის ძირითად დებულებათა მარტო გაცნობა არ კმარა. საჭიროა კიდევ უფრო ღრმა შინაგანი რწმენა პარტიის ხაზის სისწორისადმი. საჭიროა პარტიის ლენინური ხაზისათვის, კომუნიზმისათვის მგზნებარე ბრძოლა, რომელიც ძლევს ყველა სიძნელესა და დაბრკოლებას.

პრინციპული ხაზი, აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, ერთადერთი სწორი ხაზია. არასოდეს, არაფერში, ერთი ნაბიჯითაც არ გადაუხვიოს საერთო-პარტიულ ინტერესებს, ყოველთვის და ყველაფერში იჩენდეს საქმისადმი პარტიულ, სახელმწიფოებრივ მიდგომას — აი ურყევი პრინციპი, რომლითაც მოვალეა ხელმძღვანელობდეს თვითეული კომუნისტი. იმ პირობებში, როცა იმპერიალისტურ რეაქციას და მის იდეოლოგებს გააფთრებული იერიშები მიაქვთ კომუნიზმზე, მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებაზე, კომუნისტები მოვალენი არიან მტკიცედ იბრძოდნენ ჩვენთვის უცხო ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, რევიზიონისტული ტენდენციების და დამპალ, ჩამორჩენილ განწყობილებათა გამოვლინების წინააღმდეგ.

კომუნისტის მაღალ იდეურობას, მის ღრმა რწმენას, რომ პარტიის საქმე მართალია, ამოწმებს პრაქტიკული მუშაობა, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტა. თუ კომუნისტი ინიციატივიანად, გზნებით მუშაობს მისთვის ჩაბარებულ უბანზე, შეურიგებლად ეკიდება ნაკლოვანებებს, მხარს უჭერს ყოველივე ახალს, მოწინავეს, რასაც ცხოვრება წარმოშობს, ეს იმას ნიშნავს, რომ მას მაღალ უპირავს პარტიის იდეური დროშა, ერთგულად და სიმართლით ემსახურება პარტიის საქმეს. ხოლო თუ კომუნისტი კუდში ჩამოჩანჩალებს მოვლენებს, იჩენს თვითდამშვიდებასა და ყოყოჩობას, ეს იმას ნიშნავს, რომ მას დაუკარგავს პარტიის საქმისათვის მებრძოლის თვისებები და მხოლოდ ფორმალურად არიცხება მის რიგებში.

კომუნისტები უნდა იყვნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის ახალი, მძლავრი აღმავლობისათვის, იმისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის პირველ რიგებში, რომ განხორციელდეს პარტიის მიერ დასახული ამოცანა — დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. კომუნისტების მოვალეობაა გამოავლინონ და სამშობლოს სამსახურში ჩააყენონ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის უმდიდრესი რეზერვები, იბრძოლონ კუთხური ტენდენციების წინააღმდეგ, რომლებიც ეწინააღმდეგება საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან ზრდიდნენ კომუნისტების ფართო მასებს მაღალი იდეურობისა და პრინციპულობის სულისკვეთებით, ეხმარებოდნენ მათ დაეუფლონ მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას და გამოიყენონ იგი პრაქტიკულ საქმიანობაში, ავითარებდნენ კრიტიკასა და თვითკრიტიკას, ბიროკრატიზმის მიუღებელად. კომუნისტების მაღალი იდეურობა, მათი აქტიური, მტკიცე ბრძოლა პარტიის ლენინური პოლიტიკის განხორციელებისათვის ის მძლავრი ძალაა, რომელიც ძლევს ყოველ სიძნელეს, უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის წარმატებით წინსვლას დიდი მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ მიმავალ გზაზე.

„პრავდის“ 19-VIII მოწოდება.

ბულგარეთში გამოიცა ვ. ი. ლენინის ნაწარმოებნი

სოფია. იმასთან დაკავშირებით, რომ მოახლოვდა დიდი ოქტომბრის 40 წლისთავი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის გამომცემლობამ გამოუშვა ვ. ი. ლენინის რჩეული ნაწარმოებთა კრებული დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შესახებ. (საკ. ფსიქ.)

გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციას

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმება თავის მებრძოლ ორგანოს გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ მეათიათასე ნომრის გამოსვლისა და დაარსების 35-ე წლისთავის გამო.

გზა, რომელიც გაზეთმა „ზარია ვოსტოკამ“ განვლო ამ წლებში, განუყოფელია საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის გმირული გზისაგან ბრძოლაში პარტიის გენერალური ხაზის გამარჯვებისათვის, კომუნიზმის მშენებლობისათვის. მთელი ეს წლები „ზარია ვოსტოკა“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთგული თანამშრომელი იყო.

რაზმავდა რა მშრომელთა ფართო მასებს სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ლენინური გეგმის განხორციელებისათვის, კულტურული რევოლუციისათვის საბრძოლველად, „ზარია ვოსტოკა“ დაუცხრომლად ეწეოდა საქართველოსა და ამიერკავკასიაში ლენინური ეროვნული პოლიტიკის დიადი იდეების, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი ძმური მეგობრობის განმტკიცების იდეების პროპაგანდას. ომისშემდგომ პერიოდში „ზარია ვოსტოკა“ უნარიანად რაზმავდა რესპუბლიკის მშრომელებს ეკონომიკისა და კულტურის აღდგენისა და შემდგომი აღმავლობისათვის. გაზეთი დიდ დახმარებას უწევდა და უწევს პარტიულ ორგანიზაციებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა და პარტიისა და მთავრობის შემდგომ გადაწყვეტილებათა შესრულებაში, ჩვენი პარტიის რიგების ურღვევი მონოლითური ერთიანობის განმტკიცებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი რწმენას გამოთქვამს, რომ „ზარია ვოსტოკას“ კვლავაც მაღლა ეჭირება მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველი დროშა. საბჭოთა პრესის წინაშე მდგომი დიდი და საპატიო ამოცანები მოითხოვენ, რომ გაზეთმა კიდევ უფრო აამაღლოს თავისი როლი მასების კოლექტიური ორგანიზატორისა სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, მეექვსე ხუთწლედის დიადი ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში. „ზარია ვოსტოკა“ ფართოდ უნდა ეწეოდეს ხალხთა მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების პროპაგანდას. ყოველი ღონისძიებით ეწეოდეს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების პოპულარიზაციას, ავითარებდეს რესპუბლიკაში მუშაობფლკორთა მოძრაობას, განამტკიცებდეს კავშირს მკითხველებთან, გაბედულად აჩაღებდეს ნაკლოვანებათა კრიტიკასა და თვითკრიტიკას.

ახლა, როცა ჩვენი ქვეყანა დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ემზადება ღირსეულად აღნიშნოს საყოველთაო-სახალხო დღესასწაული — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცი წლისთავი, „ზარია ვოსტოკას“, ისევე როგორც ჩვენი რესპუბლიკის მთელი პრესის, საპატიო მოვალეობაა უფრო მკაფიოდ აშუქებდეს პარტიის დიდ მაორგანიზებელ როლს, სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მიღწევათა მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას მთელ მსოფლიოში სოციალიზმისა და მშვიდობისათვის ბრძოლაში.

მეათიათასე ნომრის გამოსვლისა და 35-ე წლისთავის დღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი რედაქციისა და სტამბის კოლექტივებს ულოცავს ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს მათ პირნათლად შეასრულონ საბჭოთა პრესის წინაშე დასახული ამოცანები, ერთგულად ემსახურონ ჩვენი დიადი ლენინური პარტიის საქმეს, კომუნიზმის საქმეს.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

რესპუბლიკური გაზეთის „ზარია ვოსტოკას“ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკური გაზეთის „ზარია ვოსტოკას“ მეათიათასე ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით და კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის საქართველოს სსრ მშრომელთა მობილიზაციის საქმეში მისი ნაყოფიერი საქმიანობის აღსანიშნავად დაჯილდოვდეს **გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ შრომის წითელი დროშის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ვოროშილოვი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი
1957 წლის 19 აგვისტო.

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

ЗАРЯ ВОСТОКА — ГОД ИЗДАНИЯ 35-й

ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО И ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР
„ზარია ვოსტოკა“ — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

საქართველოს კომუნისტების მებრძოლი ორგანო

დღეს გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანოს „ზარია ვოსტოკას“ მეათიათასე ნომერი. საქართველოს კომუნისტების ამ მებრძოლი ორგანოს მეათიათასე ნომრის გამოსვლა მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი რესპუბლიკის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

„ზარია ვოსტოკას“ პირველი ნომერი გამოვიდა 35 წლის წინათ, 1922 წლის 20 ივნისს, სწორედ იმ დროს, როცა ის-ის იყო შეიქმნა ამიერკავკასიის ფედერაცია და მომძმე რესპუბლიკების — საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ბოლშევიკების წინაშე დაისახა საბრძოლო ამოცანა — საერთო ძალღონით აღედგინათ და შემდგომ სოციალისტურად გარდაექმნათ თავიანთი სახალხო მეურნეობა, განვითარებინათ კულტურა, საბოლოოდ გაენადგურებინათ მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატისტების კონტრრევოლუციური პარტიების ნაძირალები.

აქედან ნათელია, თუ რა სერიოზული ამოცანები იდგა დაარსების პირველი დღეებიდანვე „ზარია ვოსტოკას“ როგორც პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანოს წინაშე.

პირველი ნომრიდანვე, „ზარია ვოსტოკამ“ დაუღალავი მუშაობა გაიჩაღა საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო და კულტურული აღორძინებისათვის, ულმობელი ბრძოლა გამოუცხადა ნაციონალიზმის ყოველგვარ გამოვლინებას, დაუცხრომლად ეწეოდა ლენინური ინტერნაციონალიზმის დიადი იდეების პროპაგანდას, განუხრელად იბრძოდა ბოლშევიკური პარტიის რიგების სიწმინდისა და ერთიანობისათვის.

„ზარია ვოსტოკას“ ორგანიზატორები იყვნენ ბოლშევიკური პარტიის გამოჩენილი მოღვაწეები ხ. მ. კიროვი და გ. კ. ორჯონიკიძე, ისინი წარმართავდნენ გაზეთის საქმიანობას, ასწავლიდნენ, როგორ უნდა ებრძოლა მას დიდი ლენინის ბრძნულ მითითებათა განხორციელებისათვის, სოციალიზმის საქმისათვის.

ამიერკავკასიის ფედერაციის ლიკვიდაციის შემდეგ „ზარია ვოსტოკა“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანოა. გაზეთმა, რომელსაც ყოველდღიურად ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ნაზიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩვენს რესპუბლიკაში სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე ახალ წარმატებათა მოპოვებაში.

თავისი არსებობის 35 წლის მანძილზე გაზეთმა „ზარია ვოსტოკამ“, რომელიც წმიდად იცავდა და იცავს ბოლშევიკური პრესის საბრძოლო ტრადიციებს, სახელოვანი გზა განვლო, დამსახურებულად მოიპოვა ფართო პოპულარობა და მშრომელთა სიყვარული არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც.

გაზეთმა განსაკუთრებული როლი შეასრულა საბჭოთა ხალხებს შორის ლენინური მეგობრობის განმტკიცების საქმეში. იგი დაუცხრომლად აცნობდა და აცნობს მშრომელებს დიდი რუსი ხალხის იმ უანგარო დახმარების მნიშვნელობასა და არსს, რომლის შედეგადაც ქართველმა ხალხმა თავი დააღწია ეროვნულ კატასტროფას და სხვა მომძმე ხალხებთან ერთად გამოვიდა კომუნიზმის ნათელ გზაზე.

სახალხო მეურნეობის განვითარების დიად სამუშაოთა ხუთწლედების პერიოდში საქართველომ, ისევე როგორც ჩვენი სამშობლოს სხვა მომძმე რესპუბლიკებმა, დიდი რუსი ხალხის დახმარებით, გიგანტური წარმატებები მოიპოვა ინდუსტრიისა და მრავალდარგობრივი სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებაში. ისტორიის მოკლე მონაკვეთში მეფის რუსეთის ჩამორჩენილი კოლონიური განაპირა კუთხიდან საქართველო გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო საბჭოთა რესპუბლიკად. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს ამ ისტორიულ მიღწევათა მოპოვებაში ხერიოზულ დახმარებას უწევდა „ზარია ვოსტოკა“. იგი მხარში ედგა პარტიას, ზრდიდა მასებს მშობლიური კომუნისტური პარტიის დიადი ხელმისაღმი ერთგულების სულისკვეთებით.

დიდი სამამულო ომის წლებში „ზარია ვოსტოკამ“ მთელი თავისი საქმიანობა მტერზე გამარჯვების ინტერესებს დაუმორჩილა, იგი უნარიანად იყენებდა მშვიდობიან დროს შეძენილ მდიდარ გამოცდილებას, საბჭოთა ადამიანებს ფრონტზე და ზურგში უნერგავდა პატრიოტიზმის კეთილშობილურ გრძნობას, ყოველმხრივ ეხმარებოდა მშობლიურ კომუნისტურ პარტიას ხალხის მთელი ძალების დარაზმვაში ჰიტლერელ დამპყრობთა გასანადგურებლად.

ომისშემდგომი მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდში გაზეთი მთელ საბჭოთა პრესასთან ერთად ყველა შესაძლებლობას იყენებს პარტიისა და მთავრობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელებისათვის, ცოცხლად და მიმზიდველად აშუქებდა და აშუქებს საბჭოთა ადამიანების გმირულ შრომას, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მოღვაწეობას საწარმოო დავალებათა და მშენებლობის გეგმების შესრულებისათვის მშრომელთა ძალების მობილიზაციის საქმეში, ეწევა მოწინავეთა გამოცდილების ფართო პროპაგანდას, დაუღალავად ეხმარება რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს პროპაგანდისტული და ორგანიზატორული საქმიანობის უკეთ დაყენებაში, ააშკარავებს პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო ორგანოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს, იბრძვის მათი აღმოფხვრისათვის. „ზარია ვოსტოკა“ ყოველთვის უწევდა და უწევს პროპაგანდას ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურღვევ მეგობრობას, ამ პროპაგანდას ის მოხერხებულად უკავშირებს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს წინაშე მდგომი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლას.

„ზარია ვოსტოკა“ ყოველთვის გამოდიოდა და გამოდის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორად და ორგანიზატორად. განსაკუთრებით ნაყოფიერია მისი საქმიანობა ამ მხრივ ქართველ და რუს, ქართველ და უკრაინელ და სხვა მომძმე რესპუბლიკების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკებს შორის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებისათვის, რითაც მას თავისი წვლილი შეაქვს მომძმე ხალხთა ლენინური მეგობრობის შემდგომი განმტკიცების საქმეში.

გაზეთი ხერიოზულ საქმიანობას ეწევა იმისათვის, რომ პარტიის მითითების საფუძველზე აღმოფხვრას პროპაგანდის მოწყვეტა კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკისაგან, სათანადო ადგილს უთმობს ეკონომიური ცოდნის პროპაგანდას. ყოველწლიურად აძლიერებს კავშირს მუშსოფლკორებთან, დაუღალავად ეხმარება მათ.

წარმატებით ახორციელებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები თავდადებით იბრძვიან მრეწველობის შემდგომი განვითარებისა და სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის, ძალასა და ენერგიას არ იშურებენ იმისათვის, რომ უზრუნველყონ პარტიისა და მთავრობის მითითებათა განხორციელება მატერიალური დოვლათის სიუხვის შექმნისათვის, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუხრელი აღმავლობისათვის. რესპუბლიკის მშრომელები მხურვალედ გამოეხმაურნენ და წარმატებით ახორციელებენ პარტიის მოწოდებას — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. მშობლიური პარტიის მიზანდასახულობათა განხორციელებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში დიდ როლს ასრულებს გაზეთი „ზარია ვოსტოკა“.

ამჟამად, როცა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით ემზადებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, „ზარია ვოსტოკას“, ისევე როგორც ყველა გაზეთს, მართებს კიდევ უკეთ დაეხმაროს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს სამეურნეო და კულტურული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში, კიდევ უფრო მიმზიდველად და შინაარსიანად გააშუქოს რესპუბლიკის საწარმოებისა და საკოლმეურნეო სოფლების სისხლსავსე ცხოვრება.

ეჭვი არ არის, რომ გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ კვლავაც გააშრავლებს ბოლშევიკური პრესის სახელოვან ტრადიციებს, კვლავაც იქნება საქართველოს კომუნისტების მებრძოლი ორგანო.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ღირსული პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოსადმი

საბჭოთა პროფკავშირების 50-წლისთავის გამო

საბჭოთა კავშირის მშრომელი მამაკაცები და ქალები, თავიანთ ქვეყნისა და თავიანთი ბედის ბატონ-პატრონნი, კაპიტალისტური ექსპლოატაციისაგან სამუდამოდ განთავისუფლებულნი, ზეიმით აღნიშნავენ თავიანთი მძლავრი პროფკავშირული ორგანიზაციის სახელოვან მეორმოცდაათე წლისთავს.

ყველა ქვეყანაში ათეულ მილიონობით მშრომელი მამაკაცი და ქალი, რომლებიც ჯერ კიდევ განიცდიან ჩაგვრასა და ექსპლოატაციას, ან ასევე აშენებენ ახალ საზოგადოებას, აღტაცებითა და სიმპათიით ადევნებენ თვალყურს საბჭოთა ძმების განუწყვეტელ წარმატებებს და მათთან ერთად იზიარებენ ამ წარმატებათა სიხარულს.

დარწმუნებული იმაში, რომ გამოხატავს მათ გრძნობებს, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია მხურვალედ მიესალმება საბჭოთა პროფკავშირებსა და მათს ცენტრალურ საბჭოს და ულოცავს შესანიშნავ მიღწევებს, რომლებიც მათ მოიპოვეს თავიანთი ქვეყნის მშრომელი მასებისა და მთელი მსოფლიოს მშრომელი მასების ინტერესების სამსახურში ნახევარი საუკუნის ბრძოლისა და მოღვაწეობის განმავლობაში პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშით.

საერთაშორისო მუშათა სოლიდარობის მხარდაჭერით საბჭოთა კავშირის პროფკავშირებმა უდიდესი როლი შეასრულეს მეფისა და კაპიტალისტური ჩაგვრის სისტემის მოსპობაში, პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნაში, დაცვასა და სწრაფ ეკონომიურ, სოციალურ და კულტურულ აღმავლობაში.

საბჭოთა პროფკავშირებმა, რომლებიც განუწყვეტლივ ავითარებენ მშრომელი მამაკაცებისა და ქალების მონაწილეობას სოციალისტური ეკონომიკის მართვაში და მუდამ ზრუნავენ მათი ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის, მთელი საბჭოთა ხალხის ნდობა მოიხვეჭეს.

სოციალისტური საზოგადოების აშენებისა და დაცვისათვის დაუცხრომელი ბრძოლით, მშრომელთა ყოველდღიური ინტერესების დაცვისათვის ეფექტიანი მოქმედებით; მშვიდობის, ერთიანობისა და საერთაშორისო მუშათა სოლიდარობის საქმისადმი დაუცხრომელი ერთგულებით; გმირული მონაწილეობით ხალხთა ბრძოლასა და გამარჯვებაში ფაშიზმის წინააღმდეგ; აქტიური როლით პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის შექმნაში 12 წლის წინათ; სრული ძმური სოლიდარობით ყველა ქვეყნის მშრომელებთან და მეგობრული ურთიერთობის გამრავლებით ყველა პროფკავშირულ ორგანიზაციასთან — საბჭოთა პროფკავშირებმა მოიპოვეს მთელი მსოფლიოს მშრომელთა და პროფკავშირთა მეგობრობა, პატივისცემა და ურღვევი სოლიდარობა.

გაუმარჯოს საბჭოთა პროფკავშირების 50-ე

ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების სანიმუშოდ მოსამზადებლად

როგორ ასრულებენ თელაველები ნაკისრ ვალდებულებებს

როგორც ცნობილია, თელავის რაიონის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების და განათლების მუშაკებმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად ერთსულოვნად გადაწყვიტეს იკისრონ ახალი ვალდებულებანი ახალი 1957-1958 სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების სანიმუშოდ მოსამზადებლად, სკოლებში მტკიცე მატერიალური ბაზის შესაქმნელად. თელაველებმა ჩვენი რესპუბლიკის ყველა რაიონისა და ქალაქის მშრომელებს მიმართეს მოწოდებით ფართოდ გაეჩაღებინათ სოციალისტური შეჯიბრება ახალი სასწავლო წლისათვის მოსამზადებლად. ამ პატრიოტულ თაოსნობას მხურვალედ გამოეხმაურნენ რესპუბლიკის მშრომელები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

თელაველებო, როგორ ასრულებთ ნაკისრ ვალდებულებებს?

თუ ამ კითხვით მივმართავთ თელაველ მშრომელებს, მათ თამამად შეუძლიათ გვიპასუხონ: პირნათლად ვართ ჩვენი სიტყვის წინაშე...

მართლაც, შემოწმება ცხადყოფს ბმას. დროულად განხორციელდა ღონისძიებანი საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის შესასრულებლად, ჩატარდა სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვა, დაზუსტდა კონტინგენტი. მომზადებულია საჭირო პირობები სანიორის, კურდღელაურისა და ყარაჯლის შვიდწლიანი სკოლების საშუალო სკოლებად გადაკეთებისათვის.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში თავი გამოიჩინა სოფელ კონდოლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ა. კოკილაშვილი). მან თავისი ფულადი სახსრებითა და საშენი მასალებით უკვე ააგო 8 ოთახი, რომელთა გამართვა მთავრდება. სოფელ სანიორეს კოლმეურნეობა „პირველმა მაისმა“ (თავმჯდომარე ა. მარგალიტოვი) თავისი ძალებით, მასალებითა და ფულადი სახსრებით სკოლის შენობას მიაშენა 8 საკლასო ოთახი, ხოლო სკოლის ეზოში ააგო სასპორტო დარბაზი. სოფელ ყარაჯლის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ა. მუსალიევი) შვიდწლიან სკოლას მიაშენა 4 საკლასო ოთახი.

საკუთარი სახსრებით და საშენი მასალით აშენებს საშუალო სკოლის სამსართულიან შენობას აკურის კოლმეურნეობა „მოწინავე“ (თავმჯდომარე ს. პაატაშვილი). სკოლას ექნება სასპორტო დარბაზი და პოლიტექნიკური სწავლებისათვის საჭირო ლაბორატორიები და სახელოსნოები.

ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების სანიმუშოდ მოსამზადებლად შინასაიონო სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებად გამოვიდნენ ფშავლის სასოფლო საბჭო და კოლმეურნეობა. ფშავლელებმა ნაკისრი ვალდებულების თანახმად სამუალო სკოლის დაწყებითი კლასებისათვის სოფლის ცენტრში ააგეს 6 ოთახი, რომელთაგან სამი უკვე მზად არის, სამიც ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე გაიმართება.

ვალდებულებებს წარმატებით ანალდებენ მთელი რიგი სხვა სოფლების მშრომელებიც. ქვემოხოდაშნელებმა დაასრულეს სკოლისათვის 4 ოთახის მიშენება, რუისპირელებმა კოლმეურნეობის ფულადი სახსრებითა და საშენი მასალებით დაიწყეს სოფელ ახატლის ბავშვებისათვის დაწყებითი სკოლის ექვსოთახიანი შენობის აგება, ხოლო წინანდლელებმა საშუალო სკოლის სახელოსნოებისათვის უკვე აშენეს ორი ოთახი.

განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი პოლიტექნიკური სწავლებისათვის მტკიცე მატერიალური ბაზის შესაქმნელად. ამ მხრივ ბევრი რამ გააკეთეს შეფმა ორგანიზაციებმა. თელავის ფიქალფხვნილის ქარხანამ ვალდებულების თანახმად თელავის 1-ლ საშუალო სკოლაში მოაწყო სადურგლო და საზეინკლო სახელოსნოები, სასპორტო მოედანი; აბრეშუმის ძაფსახვევმა ფაბრიკამ მე-2 საშუალო სკოლას მოუწყო საზეინკლო სახელოსნო; საქსოფლენერგოს თელავის სამონტაჟო-საექსპლოატაციო განყოფილებამ დაამზადა და თელავის 1-ლ და მე-3 საშუალო სკოლებს გადასცა ელექტროტექნიკის კაბინეტებისათვის საჭირო მოწყობილობა.

რაისაბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატმა მე-4 საშუალო სკოლას მოუწყო სადურგლო და საზეინკლო სახელოსნოები, თელავის მტს-მა მე-3 სკოლას — მანქანათმცოდნეობის კაბინეტი, ავტოსატრანსპორტო კანტორამ მე-5 სკოლას — მანქანათმცოდნეობის კაბინეტი, წინანდლის ღვინის ქარხანათსამმართველომ ამავე სოფლის საშუალო სკოლას—საზეინკლო და სადურგლო სახელოსნოები; ნაფარეულის მტს-მა სანიორეს საშუალო სკოლას გადასცა საზეინკლო სახელოსნოსათვის საჭირო მოწყობილობის ნაწილი; ნაფარეულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ ფშავლის საშუალო სკოლას გამოუყო თანხა საზეინკლო სახელოსნოს მოწყობილობის შესაძენად.

შეფი ორგანიზაციების დახმარების შედეგად რაიონის სკოლების მიმდინარე რემონტი 25 ივნისისათვის დამთავრდა, ხოლო კაპიტალური რემონტი — 10 აგვისტოსათვის. ადგილზე დამზადდა და სკოლებს გადაეცა 250 მერხი, 100 მაგიდა და 50 კარადა. შეკეთებულია 805 მერხი, 76 დაფა, 108 მაგიდა, 6 კარადა, 72 სკამი. წარმატებით მიმდინარეობს სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების სათბობით მომარაგება. რაიონის სკოლების ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტები შევსებულია 23 ათასი მანეთის ხელსაწყო-იარაღებით; სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის შეძენილია 17.400 მანეთის ლიტერატურა.

უმეტეს სკოლებში სანიმუშოდ არის დაყენებული სასწავლო-საცდელ ნაკვეთებზე მუშაობა. ვანთის, ნაფარეულისა და ფშავლის საშუალო სკოლები ემზადებიან სასოფლო-სამეურნეო კულტურების საუკეთესო ექსპონატების გამოფენის მოსაწყობად. ჩატარდა სასკოლო ეზოების გამწვანებისა და კეთილმოწყობის სამუშაოები.

თელაველებმა წარმატებით შეასრულეს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი მთელი რიგი სხვა ვალდებულებებიც. მიუხედავად ამისა, ამ საქმეში ნაკლოვანებებიც არის. კურდღელაურის კოლმეურნეობამ ვერ უზრუნველყო სკოლის შენობისათვის 4 ოთახის დაშენების სამუშაოების დაწყება. მხოლოდ ქვა და ქვიშა აქვს მიზიდული, ისიც არა საკმაო რაოდენობით. ვანთის კოლმეურნეობამ დღემდე ვერ დაამთავრა სახელოსნოსათვის ორი ოთახის მშენებლობა. ჯერჯერობით მიზიდული არ არის სბობრი აკურის დაწყებითს, ყარაჯლის შვიდწლიან და ქვემო ხოდაშნის საშუალო სკოლებში. კურდღელაურის, ბყალთოს და ყარაჯლის შვიდწლიან და წინანდლის საშუალო სკოლებთან მისასვლელი გზების კეთილმოწყობა არ დაუმთავრებია რაისაბჭოს აღმასკომის საგზაო განყოფილებას. ჯერაც არ დამთავრებულა სპორტსკოლისათვის ახლადგადაკეთებული ოთახების კაპიტალური რემონტი.

უეჭველია, ამ ნაკლოვანებებს შეჯიბრების ინიციატორები უმოკლეს ხანში გამოასწორებენ, აქტიურად იბრძოლებენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის, ყოველმხრივ მომზადებული შეხვდებიან ახალ სასწავლო წელს, სასკოლო მუშაობის ახალი აღმავლობით შეეგებებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს.

გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატი, რომელიც ჩაბმულია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, წარმატებით ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს. ს ურ ა თ ზ ე: გამოცდილი წუნმდებლები რ. ბროკკინა და ნ. კოდალაშვილი ამოწმებენ მზა პროდუქციის ხარისხს.

ფოტო შ. კუკულავასი.

საკოლმეურნეო საარწყავი არხი

ახალციხის რაიონში სოფელ კლდის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა. კოლმეურნეობაში ბევრი რამ საინტერესო და კარგი კეთდება.

ამ დღეებში გაიხსნა მეორე საარწყავი არხი, რომლის საერთო სიგრძე 8 კილომეტრზე მეტია. იგი მორწყავს 150 ჰექტარზე მეტ მიწას. არხის მშენებლობაზე კოლმეურნეობამ 2.000-მდე შრომადღე დახარჯა. ამ არხით მეზობელი სოფლის წნისის კოლმეურნეობაც სარგებლობს.

მშენებლობაზე თავი გამოიჩინეს კლდეელმა კოლმეურნეებმა ა. მობიძემ, ბ. დევნოსაძემ, თ. კურტანიძემ, ი. კურტანიძემ და სხვებმა. ასევე დიდი მონდომებით მუშაობდნენ მშენებლობაზე კლდის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გრ. ბლუაშვილი, კლდის 8-წლიანი სკოლის მასწავლებელი ი. სებისკვერაძე, ნ. ბლუაშვილი და სხვები.

ი. დევნოსაძე.

მზადება მეშახტის დღისათვის

ურთიერთ შრომითი დახმარება

ტყიბულისა და ტყვარჩელის ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკების კოლექტივები დიდი ხანია ერთმანეთს ეჯიბრებიან უკეთესად მუშაობაში. ეს შეჯიბრება გადაიქცა ურთიერთისათვის დახმარების გაწევის საუკეთესო ფორმად, მოწინავე გამოცდილების განზოგადების მძლავრ საშუალებად. ამას წინათ ტყიბულელ გამამდიდრებელთა წარმომადგენლები იყვნენ ტყვარჩელში, მასპინძლებთან ერთად შეამოწმეს საოქტომბროდ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების ნახევარი წლის შედეგები, გაეცნენ ერთმანეთის მუშაობას და გამოცდილებას.

გამამდიდრებლებმა დიდი შრომითი დახმარება გაუწიეს ერთმანეთს. მაგალითად, ტყვარჩელის ქვანახშირის გამამდიდრებელ ფაბრიკაში ლითონის ფურცლოვანი ღარები ანუ „არხები“, როგორც აქ უწოდებენ, უშალოდ იყო დაგებული ფიცრულ იატაკზე. ეს ღარები აფუჭებდნენ იატაკს და საჭირო ხდებოდა მისი ხშირი შეკეთება. ტყიბულელებმა საკუთარი გამოცდილების მიხედვით ურჩიეს ტყვარჩელელებს ღარებს ქვეშ დაეტანებინათ თუჯის ფილები. ასეც მოიქცნენ, და იატაკის ცვეთა აღიკვეთა.

ტყიბულელებმა ტყვარჩელის ქვანახშირის გამამდიდრებელ ფაბრიკაში ნახეს აგრეთვე ქვანახშირის გამომშრობი ახალი ტიპის ჰორიზონტალური აგრეგატი, რომელიც აქ ახალი გამართული იყო და საუკეთესო შედეგს აძლევდა გამამდიდრებლებს მაღალხარისხოვანი კონცენტრატის გამოშვებაში. ტყვარჩელიდან დაბრუნებისთანავე ჩამოსულთა წინადადებით ასეთივე აგრეგატი შეძენილ იქნა ტყიბულის ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკისათვის.

ეს ურთიერთ შრომითი დახმარება დიდად უადვილებს ქვანახშირის გამამდიდრებლებს ახალი საწარმოო წარმატებებისათვის ბრძოლას.

შ. გიორგაძე,

ტყიბულის ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკის ბრიგადირი.

ახალი ტექნიკა მაღაროებში

ჭიათურა. (საკ. კორ.). ჭიათურის სამთო ლაბორატორიის თანამშრომელმა, მექანიკოსმა შ. ბუხრაშვილმა შეიმუშავა და ლაბორატორიის კოლექტივმა ლენინის სახელობის მაღაროში დანერგა ვაგონების დასამუხრუჭებელი ახალი კონსტრუქციის ხელსაწყო. იგი მოწყობილია ვაგონის თვლებზე და ავტომატურად ამუხრუჭებს შემადგენლობას.

სამთო ლაბორატორიის კოლექტივმა შეიმუშავა და დანერგა აგრეთვე ბაგის ამწევი მოწყობილობა. იგი აადვილებს ბაგის უღლის აწევას, რაც წინათ ხელით სრულდებოდა. ამ მოწყობილობის საწარმოო გამოცდამ კარგი შედეგი აჩვენა. უკვე დამზადებულია და მაღაროებში ინერგება 20 ცალი ასეთი ხელსაწყო.

სამთო-საკვლევი ლაბორატორიის კოლექტივმა მონაწილეობა მიიღო ახალი კონსტრუქციის ელექტრომაგნიტური სეპარატორის დანერგვაში, რომელიც ამცირებს დანაკარგებს, ზრდის პირველი ხარისხის მარგანეცის გამოშვებას. აქვე გაეუმჯობესეს ბიგების გამოსატაცებელი ჯალამბრის კონსტრუქცია. ახლა ჯალამბრის მოტორის ძალა ერთნახევარჯერ გაიზარდა, გამძლეობა ორ-სამჯერ გადიდდა, ხოლო ჯალამბრის მოცულობა ერთი მესამედით შემცირდა.

სარედაქციო ფოსტიდან

გუმბრინის მიმღებელი — მაღაროს მნგრეველი ტ. ... მიქაბერძე გვწერს, რომ გუმბრინის მაღაროებში წელს მკვეთრად გაუმჯობესდა მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება. საუკეთესოდ მუშაობს საწარმოსთან არსებული მუშათა სასადილო. აქ ვერ შეხვდებით უსუფთაობის შემთხვევებს, ყოველდღე მზადდება მაღალი ხარისხის მრავალფეროვანი კერძები, საუკეთესოდ მუშაობს მთელი მომსახურე პერსონალი.

მაგრამ ჯერ კიდევ მოსაგვარებელია ზოგიერთი საკითხი საერთო საცხოვრებელში. საერთო საცხოვრებლის ზოგ ოთახში 3 კაცის ნაცვლად ხშირად 4-5 კაცი ცხოვრობს. ამავე დროს ამავე სახლში არის ოთახები, რომლების საცხოვრებლად გამოყენება შეიძლებოდა.

• • •

ჩვენი გაზეთის მკითხველი ტ. სირაძე გვწერს ადიგენის რაიონის საკავშირო ქსელში არსებული ზოგიერთი უწესრიგობის შესახებ. როგორც იგი გვატყობინებს, ამას წინათ ადიგენის კულტმაღაზიამ მიიღო ნ. ხოფერიას „საოჯახო წიგნი“, რომელიც 39 მანეთი ღირს. რაიონში ამ წიგნის შეძენის ბევრი მსურველი აღმოჩნდა. მაღაზიის გამგემ ქ. გელაშვილმა მყიდველებს გამოუცხადა — ვისაც ამ წიგნის შეძენა სურს, დამატებით უნდა იყიდოს კიდევ 60 მანეთის სხვადასხვა ლიტერატურაო. ასეთი იძულებითი ასორტიმენტის შემოღების გამო მომხმარებლები უკმაყოფილებას გამოთქვამენ.

• • •

ჩვენი გაზეთის მკითხველი ა. ნუცუბიძე თავის წერილში აღწერს თბილისის თამბაქოს პირველი ფაბრიკის სახელმოხვეჭილი მექანიკოსის ა. ქოქრაშვილის მიღწევებს, მისი მუშაობის მეთოდს.

— ოცდახუთი წელია, — გვწერს კორესპონდენტი, — რაც ა. ქოქრაშვილი ფაბრიკაში მუშაობს. მან შეიმუშავა მანქანების მოვლის საკუთარი მეთოდი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ წინასწარ სწავლობს, თუ მანქანის რომელი ნაწილის მწყობრიდან გამოსვლა არის მოსალოდნელი, წინასწარვე იმარაგებს სათანადო დეტალებს და საჭიროების დროს ცვლის მათ.

მუშაობის ასე მოწყობამ ა. ქოქრაშვილს შესაძლებლობა მისცა ვადამდე გაენაღდებინა მეექვსე ხუთწლედის ორი წლის დავალება. იგი ამჟამად 1958 წლის ანგარიშში მუშაობს.

მშრომელთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად

ამბროლაური. (საკ. კორ.). სოფელ კრიხის მოსახლეობას სამი კილომეტრის მანძილზე, ამბროლაურის რაიცენტრის მაღაზიებში უდიდოდა სასურსათო და სამრეწველო საქონლის შეძენა.

ახლახან აქ გახსნეს ახალი სასოფლო მაღაზია, სადაც მოსახლეობის მოთხოვნილების მიხედვით სისტემატურად არის სასურსათო და სამრეწველო საქონელი.

კომუნისტური პარტიის მსოფლმხედველობა შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმია

მარქსიზმი, რომლის შემდგომ განვითარებას ახალი ისტორიული პირობების შესაბამისად წარმოადგენს ლენინიზმი, მარქსისტული-ლენინური პარტიის, კომუნისტური პარტიის მსოფლმხედველობაა. მარქსიზმ-ლენინიზმი არის მეცნიერება ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონების, ნაგრული და ექსპლოატირებული მასების რევოლუციის, ყველა ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის შესახებ.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა მეცნიერულად დაასაბუთეს, რომ სოციალიზმი, კომუნიზმი მეოცნებეთა გამონაგონი კი არ არის, არამედ თანამედროვე საზოგადოების განვითარების აუცილებელი შედეგია. მათ გვიჩვენეს, რომ კაპიტალიზმის დამხობა ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლეტარიატის და ყველა მშრომელის კლასობრივი ბრძოლის გზით და სოციალიზმის გამარჯვება პროლეტარიატის დიქტატურაზე დაყრდნობით გარდუვალია. ამასთან მუშათა კლასი ყველა მშრომელთან ერთად მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს განახორციელოს სოციალისტური რევოლუცია, დაამყაროს პროლეტარიატის დიქტატურა და ააშენოს უკლასო საზოგადოება, თუ მის კლასობრივ ბრძოლას უხელმძღვანელებს მუშათა რევოლუციური პარტია, კომუნისტური პარტია.

მშრომელთა მილიონიან მასებთან განუყრელად დაკავშირებული და დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინურ პრინციპებზე აგებული კომუნისტური პარტია არის მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის მოწინავე და ორგანიზებული რაზმი, მშრომელთა ორგანიზაციის უმაღლესი ფორმა, თანამოაზრე კომუნისტთა მტკიცე საბრძოლო კავშირი, რომელიც შედუღაბებულია იდეების, მოქმედების, დისციპლინის ერთიანობით. კომუნისტური პარტია შეიარაღებულია საზოგადოებრივი განვითარებისა და კლასობრივი ბრძოლის მარქსისტულ-ლენინური თეორიით და ამის გამო უნარი შესწევს უხელმძღვანელოს კაპიტალისტური საზოგადოების ნანგრევებზე კომუნისტური საზოგადოების აშენების საქმეს.

მარქსისტულ-ლენინური თეორია პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის პრაქტიკამ წარმოშვა. მარქსიზმ-ლენინიზმი არის ყველა ქვეყნის მუშათა მოძრაობის გამოცდილების განზოგადება. აქედან გამომდინარეობს, რომ თეორიისა და პრაქტიკის განუყრელი კავშირი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ერთ-ერთი არსებითი ნიშანია. მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ თეორია რევოლუციურ პრაქტიკასთან დაუკავშირებლად უსაგნოა, ხოლო პრაქტიკა ბრმაა, თუ იგი გზას არ იშუქებს რევოლუციური თეორიით. თეორიას საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების პრაქტიკული მოთხოვნილებები წარმოშობს. თეორია მით უფრო ძლიერია, რაც უფრო სწორად და სრულად გამოხატავს ამ მოთხოვნილებებს. რევოლუციურ პრაქტიკასთან განუყრელ კავშირში მყოფი თეორია საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების უდიდეს ძალად ხდება, როცა იგი ეუფლება მასებს, რომლებსაც აძლევს მოვლენათა შინაგანი კავშირის გაგებას, ორიენტირების უნარს, რწმენას და ეხმარება პრაქტიკას იმის განსაზღვრაში, თუ როგორ და საით მიდიან ან წავლენ მებრძოლი საზოგადოებრივი ძალები ახლა ან უახლოეს მომავალში. ამას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს საერთოდ რევოლუციური მოძრაობისათვის და, კერძოდ, რევოლუციური პარტიისათვის. ამიტომ ამბობდა ლენინი: რევოლუციური თეორიის გარეშე შეუძლებელია რევოლუციური მოძრაობაც; მოწინავე მებრძოლის როლის შესრულება შეუძლია მხოლოდ იმ პარტიას, რომელიც მოწინავე თეორიით ხელმძღვანელობს.

სწორედ ასეთი თეორიაა კომუნისტური პარტიის მსოფლმხედველობა — მარქსიზმ-ლენინიზმი. კაცობრიობის ისტორიამ არ იცის საზოგადოებრივი თეორია, რომელსაც ისეთი უდიდესი გავლენა მოეხდინოს საზოგადოების განვითარებაზე, როგორიც მარქსისტულ-ლენინურმა მოძღვრებამ მოახდინა. მარქსიზმ-ლენინიზმის ძლევამოსილი დროშით განხორციელდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, აშენდა სოციალიზმი ჩვენს ქვეყანაში, გაიმარჯვა საბჭოთა ხალხმა მეორე მსოფლიო ომში; მარქსიზმ-ლენინიზმის ძლევამოსილი დროშით აშენებს საბჭოთა ხალხი კომუნიზმს, სახალხო დემოკრატიის ქვეყნები — სოციალიზმს. მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით იბრძვიან ჩაგრულნი და ექსპლოატაციის წინააღმდეგ მილიონობით მშრომელნი კაპიტალიზმის ქვეყნებში. მართალია, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ყოველ ახალ გამარჯვებას ახალი გააფთრებული თავდასხმებით უპასუხებენ იმპერიალიზმის იდეოლოგები, სოციალიზმისა და კომუნიზმის დაუძინებელი მტრები, რომლებსაც წინათაც არაერთხელ გამოუცხადებიათ მარქსიზმი „დასამარებულად“ და ახლაც ყოველ გზაჯვარედინზე გაჰყვირიან უაზრო ოვრაზებს მარქსიზმ-ლენინიზმის „კრიზისისა“ და „კრახის“, კომუნისტური მოძრაობის „რღვევის“ შესახებ და სხვ., მაგრამ ვინ არ იცის, რომ მარქსიზმის მტრები — ბურჟუაზიული მთავრობები და მათი დაქირაველი მოღალატენი, ისევე როგორც წინათ, ახლაც მოდიან და მიდიან, მარქსიზმი კი რჩება, ცოცხლობს, ვითარდება და იმარჯვებს.

აღსანიშნავია, რომ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების უდიდეს გავლენას ახლა მისი ზოგიერთი მტერიც კი ვეღარ უარყოფს. მაგალითად, დასავლეთ გერმანიის ერთ-ერთმა ბურჟუაზიულმა გაზეთმა ამას წინათ ასე დაახასიათა მარქსიზმის გავლენა: „ახლა ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ მარქსიზმმა მისი დასრულებულობით, უნივერსალურობით და თანმიმდევრულობით, დამარცხა ყველა საზოგადოებრივი იდეოლოგია, რომლებიც მას კონკურენციას უწევდნენ. ამასთან იგი გახდა მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფოს თეორიული საფუძველი და სასიცოცხლო პრინციპი“.

მარქსიზმ-ლენინიზმი იმარჯვებს იმიტომ, რომ იგი სწორია, სწორად გამოხატავს საზოგადოების განვითარების მოთხოვნილებებს, მშრომელი მასების საარსებო ინტერესებს. მაგრამ საზოგადოებრივი განვითარების მოთხოვნილებანი უცვლელი როდია, ისინი იცვლებიან ისტორიული პირობების შეცვლასთან ერთად. ამის გამო მარქსიზმიც, როგორც მეცნიერება, არ შეიძლება ერთ ადგილზე იდგეს, იგიც ვითარდება და სრულყოფილი ხდება, მდიდრდება სხვადასხვა ქვეყნებში სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკული გამოცდილებით, მთელი მსოფლიოს მილიონობით მშრომელთა რევოლუციური ბრძოლის პრაქტიკული გამოცდილებით.

მარქსიზმ-ლენინიზმი ცხოვრებას მოწყვეტილ უცვლელ დოგმათა კრებული კი არ არის, არამედ მუდმივ განვითარებაში მყოფი, შემოქმედებითი ხასიათის მოძღვრებაა, სახელმძღვანელოა მოქმედებისათვის, ხოლო კლასების, პარტიების მოქმედება სხვადასხვა ისტორიულ პირობებში სხვადასხვანაირია. ამით აიხსნება, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის ცალკეული მოძველებული დასკვნები და დებულებები მუდმივად იცვლება ახალი დასკვნებითა და დებულებებით, რომლებიც შეესაბამება ახალ ისტორიულ ამოცანებს.

კომუნისტური პარტია და მისი მსოფლმხედველობა ყოველგვარი დოგმატიზმის მტერია. სწორედ ამიტომ ხელმძღვანელობს ჩვენი პარტია ასე წარმატებით კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა საზოგადოებას. სწორედ ამიტომ ასწავლიდა დიდი ლენინი მის მიერ შექმნილ კომუნისტურ პარტიას მარქსიზმის პრინციპების შემოქმედებით გამოყენებას სხვადასხვა ისტორიული პირობების შესაბამისად პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის მოქმედების ხაზის განსაზღვრის დროს. გენიალურმა ლენინმა თვითონვე მოგვცა მარქსიზმის შემოქმედებითი განვითარების უკვდავი ნიმუშები.

ავიღოთ, მაგალითად, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების საკითხი. როგორც ცნობილია, ამ საკითხს რომ განიხილავდნენ, მარქსი და ენგელსი გამოდიოდნენ ალმავალი კაპიტალიზმის ეპოქის ისტორიული პირობების ანალიზიდან, ხოლო ამ ანალიზს ისინი იმ დასკვნამდე მიჰყავდა, რომ სოციალისტურ რევოლუციას არ შეუძლია გაიმარჯვოს ერთ ქვეყანაში, რომ იგი გაიმარჯვებს მხოლოდ ყველა ან მეტწილ ცივილიზებულ ქვეყნებში კაპიტალიზმის წინააღმდეგ საერთო დარტყმის შედეგად. ეს დასკვნა, რომელიც შემდეგ ყველა მარქსისტისათვის სახელმძღვანელო დებულება გახდა, აღმავალი კაპიტალიზმის ეპოქისათვის სწორი იყო. მაგრამ იგი აღარ შეესაბამებოდა მომაკვდავი კაპიტალიზმის, იმპერიალიზმის ეპოქის ახალ პირობებს, რაც ცხადი გახდა უკვე პირველი მსოფლიო ომის პერიოდში. საჭირო იყო სოციალისტური რევოლუციის მარქსისტული თეორიის შემოქმედებითი განვითარება, მარქსიზმის მოძველებული დასკვნის შეცვლა ახალი დასკვნით და იმის დასაბუთება, რომ იმპერიალიზმის ეპოქის ახალ პირობებში სავსებით შესაძლებელია სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში. ეს ისტორიული ამოცანა ბრწყინვალედ გადაწყვიტა ლენინმა, რომელმაც წინააღმდეგ ყველა ჯურის დოგმატიკოსებისა და ოპორტუნისტებისა, შემოქმედებითად განვითარა მარქსიზმი ახალი ისტორიული ვითარების შესაბამისად და გაამდიდრა იგი უდიდესი ალმოჩენებით. ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების ლენინური თეორია ჩვენი კომუნისტური პარტიის პრაქტიკული მოღვაწეობის სახელმძღვანელო პრინციპი იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და განხორციელების, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საქმეში.

ასეთსავე საკითხს წარმოადგენს სოციალისტური რევოლუციის შემდეგ სახელმწიფოს ბედის საკითხი. ცნობილია ენგელსის დებულება, რომლის მიხედვით სოციალიზმის გამარჯვების შემდეგ სახელმწიფო უნდა მოკვდეს. ამ დასკვნას რომ აკეთებდა, ენგელსს მხედველობაში ჰქონდა ისეთი ისტორიული ვითარება, როცა სოციალიზმი გაიმარჯვებდა ყველა ან მეტწილ ქვეყნებში. ეს დებულება არ შეესაბამებოდა იმ ვითარებას, როცა სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში, რომელსაც არსებობა უხდებოდა კაპიტალისტურ გარემოცვაში. ამიტომ იყო, რომ წინააღმდეგ დოგმატიკოსებისა, რომლებიც მოითხოვდნენ სახელმწიფოს ჩაბარებას სიძველეთა მუზეუმისათვის, შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის ერთგულმა ჩვენმა კომუნისტურმა პარტიამ უკუაგდო მოძველებული, საბჭოთა კავშირში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ შექმნილი კონკრეტული ვითარებისათვის შეუსაბამო დებულება სახელმწიფოს კვდომის შესახებ და ლენინის მითითებათა საფუძველზე ყოველმხრივ განამტკიცა და გააძლიერა საბჭოთა სახელმწიფო, გადაქცია იგი სოციალისტური ერების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვის, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ძირითად იარაღად.

მრავალი სხვა მაგალითის მოყვანა შეიძლება იმის ნათელსაყოფად, რომ ჩვენი კომუნისტური პარტიის მთელი ისტორია შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმია მოქმედებაში. ყოველი ცალკე ან ბევრად მნიშვნელოვანი მობრუნება ჩვენი პარტიის ისტორიაში აუცილებელს ხდიდა ურთულეს თეორიულ საკითხთა შემოქმედებით დამუშავებას საბჭოთა საზოგადოების განვითარების მომწიფებული ამოცანების გადაწყვეტის მიზნით. და პარტიაც მუდამ წარმატებით იყენებდა შემოქმედებით მარქსიზმ-ლენინიზმს. მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი გამოყენების შესანიშნავი ნიმუშებია ჩვენი ქვეყ

მოწინავეთა გამოცდილება — მასებს!

როგორ ვაღწევთ წვეულების გაღიდებას

გასულ სამეურნეო წელს ჩვენმა კოლმეურნეობამ წველადობის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა, ხოლო მეძროხეობის ამ ბრიგადამ, სადაც მე მიხდება მუშაობა, 98 ძროხიდან თითეულზე მოწველა საშუალოდ 2.022 ლიტრი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.468 ლიტრისა.

წველადობის ზრდის მთავარი პირობაა ზოოტექნიკური წესების ფართოდ დანერგვა, ძროხების მომვლელი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, მოწინავე გამოცდილების ურთიერთგაზიარება, მტკიცე საკვები ბაზის შექმნა.

1947 წელს დავამყარე სოფელ ქვემო მაჩხაანის ზოოტექნიკური ტექნიკუმი. აქ სასარგებლო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა მივიღე, მაგრამ ამთ როდი დავკმაყოფილდი, მწყემსებისა და მომვლელებისაგან ბევრი რამ მნიშვნელოვანი და საინტერესო შევისწავლე.

ბრიგადაში თვითეული ძროხა მოსავლელად მიჩენილია მწველავებზე. თვითეულმა მწველავმა ისე უნდა მოაწყოს თავისი მუშაობა, რომ ეშვიათად წავიდეს შინ. ამ საქმეში მას ხელს უნდა უწყობდეს ოჯახიც, კოლმეურნეობაც. იყო ასეთი შემთხვევა: შარშან მწველავი ჩიტო ჯანაშვილი რამდენიმე დღით შინ წავიდა. მისმა ძროხებმა უცხო მწველავის ხელში საგრძნობლად დაიკლეს წველაში. ერთ-ერთი ძროხა ჯანაშვილს 20 ლიტრ რძეს აძლევდა, ხოლო შემცვლელმა მწველავმა მხოლოდ 10 ლიტრის მიღება შეძლო.

წელს მსგავსი ფაქტი არ ყოფილა. ჯანაშვილმა ნახევარ წელიწადში ერთი წლის დაგალება დიდი გადაჭარბებით შეასრულა. ნაცვლად 1.468 ლიტრისა თვითეულ ძროხაზე მოწველა 2.166 ლიტრი რძე. წველადობის ამ მაღალი მაჩვენებლებისათვის იგი დაჯილდოებულია მაჯის საათით, ხოლო პრემიად წანამატის სახით 65 კილოგრამი კარაქი შეხვდა.

დაკვირვებამ ბრიგადის მწველავები და მომვლელები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ წველადობის ზრდისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ძროხის დაგრილების ვადების დადგენას და ნორმალურ პირობებში მაკეობას. საჭიროა მაკეობის უკანასკნელ ორ თვეში ძროხა გავაშროთ, წინაადმდეგ შემთხვევაში ლაქტაციის პეროდში საგრძნობლად შეამცირებს წველადობას. ჩვენს დაუდევრობას უნდა მიეწეროს, რომ ზოგიერთი ძროხა ზშობიარობამდის გწველეთ, რამაც არასასურველი შედეგი მოგვცა. თუ გასულ ლაქტაციის პერიოდში თვითეული მთგანი ყოველდღიურად 15 ლიტრ რძეს იძლეოდა, ახლა 4 ლიტრს იძლევა.

მშობიარობის შემდეგ, მართალია, ძროხა სუსტდება და საკვები სჭირდება, მაგრამ არ შეიძლება ძალიან ბევრი ან მეტად ნოყიერი საკვები მივცეთ. ამ შემთხვევაში ძროხამ ძღომა არ იცის, ჭამს დაუსრულებლად. დიდი რაოდენობით მიღებული საკვები ერევა სუსტ ორგანიზმს და პირუტყვს სიკვდილის საფრთხეს უქმნის ან უკარგავს რძის მოცემის უნარს. მშობიარობის შემდეგ 15 დღემდე საჭიროა ძროხას მივცეთ მსუბუქი საკვები. მაგალითისათვის მოვიყვანთ ერთ ფაქტს. მწველავი ს. დოლაშვილი ცუდი მუშაკი როდია. იგი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს ძროხების მოვლა-პატრონობის საქმეში. ერთ-ერთ ძროხას მშობიარობის შემდეგ კუთვნილ ნორმაზე მეტ საკვებს აძლევდა. მწველავი ფიქრობდა — ძროხა მალე გამოჯანსაღდებაო, მაგრამ პირიქით მოხდა. გაძლიერებული საკვების მიცემამდე ძროხა ყოველდღიურად 12 ლიტრს იწველიდა, შემდეგ კი წველადობა 7 ლიტრამდე შემცირდა. მთლიანად ამ ძროხამ 84 ლიტრი რძე დაგვიკარგა.

ბრიგადაში შემოღებულია ძროხების ინდივიდუალური კვების მეთოდი. ეს იმას ნიშნავს, რომ თვითეული მწველავი ან მომვლელი ყოველდღიურად აკვირდება და სწავლობს ძროხის ხასიათს, გემოვნებას, კვების უნარს და ამის მიხედვით აძლევს საკვებს. უზომოდ გასუქებული ძროხა ნაკლებ პროდუქტიულია. საჭიროა იგი იკვებებოდეს ნორმალურად, მისთვის სასიამოვნო საკვებით. კარგი გამოცდილება აქვს მწველავ თ. ნატრაშვილს, რომელმაც ძროხების ინდივიდუალური კვების შედეგად მაღალ წველადობას მიაღწია. ნაცვლად 18.400 ლიტრი რძისა, რაც წლიური დავალებით იყო გათვალისწინებული, მიიღო 20.821 ლიტრი რძე ანუ ერთ საფურაქე ძროხაზე წლიურ დავალებას 210 ლიტრით გადააჭარბა. მისი ძროხა ვერ ჭამს სიმინდის ღეროს. მისთვის უფრო გემრიელი საკვებია ქატოში შერეული კოპტონი. მწველავს ამ ძროხისათვის ყოველთვის შემონახული აქვს კოპტონი და ქატო, ხოლო მეორე ძროხას, რომელსაც სიმინდის ღერღილი უყვარს, ამ ღერღილით კვებავს.

საკუთარი გამოცდილებით დავრწმუნდით, რომ ჭარხალი საუკეთესო საკვებია. მაგრამ ჭარხლის დიდი რაოდენობით მიცემა პირუტყვს კუჭის ავადმყოფობას უჩენს. ამის გამო კლებულობს წველადობა. ცალცალკე ქერისა და შვრიის მიცემა სხვადასხვა შედეგს იძლევა. შვრიით კვებისას წველადობა მატულობს, ხოლო დაღერღილი ქერის მიცემის დროს კლებულობს, ამიტომ ჩვენ მას დაღერღილს ვაძლევთ, რამაც საუკეთესო შედეგი მოგვცა.

ჩვენ გადავწყვიტეთ თვითეული ლიტრი რძე გავხადოთ მომგებიანი, ხოლო მეძროხეობა — რენტაბელური. ამ მიზნით მოვაწყეთ ფერმისპირა ნაკვეთების დამუშავება, რადგან საკვების შორიდან გადმოტანა ძვირი ჯდება. წინა წლებში ჭარხალი გადმოგვქონდა შირაქიდან (იგი ფერმას 30 კილომეტრით არის დაცილებული). ახლა ფერმის გვერდით დავთესეთ 30 ჰექტარი ჭარხალი, 20 ჰექტარი შვრია, 16 ჰექტარი სუდანის ბალახი.

გარდა ამისა, ვიბრძვით შრომადღეების გადახარჯვების წინააღმდეგ. შარშან თვითეულ მწველავს ერთი ხბოს გაზრდისათვის ეწერებოდა 12 შრომადღე. მაშინ როცა ხბოს 20 დღის შემდეგ მეხბორეს აბარებდა. ახლა მას 3 შრომადღე ეწერება. გასულ წელს ძროხების მომვლელებს უფრო მეტი შრომადღე ეწერებოდათ, ვიდრე მწველავებს. ეს სწორი არ არის, თვითეულ მომვლელს ყოველ ას ლიტრ რძეზე 0,80 შრომადღის ნაცვლად ვუწერთ 0,40 შრომადღეს. ამ გზით წელს შევძელით დაგვეზოგა 827 შრომადღე.

ბრიგადა ჩაება დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვალდებულება იკისრა მიმდინარე წელს საშუალოდ ერთ საფურაქე ძროხაზე მიიღოს 2.100 კილოგრამი რძე.

ა. ცაკაშვილი,

წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მძროხეობის ფერმის მესამე ბრიგადის ხელმძღვანელი, უმცროსი ზოოტექნიკოსი.

მოწინავე კოლმეურნეოგეგმა ჩაის კრეფის წლიური გეგმები შეასრულეს

მიმდინარე წელს წყალტუბოს რაიონის კოლმეურნეობებმა გეგმით უნდა მოკრიფონ და მრეწველობას ჩაბარონ 1.130 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ჩაებნენ რა სოციალისტურ შეჯიბრებაში წულუკიძის რაიონის კოლმეურნეობებთან, წყალტუბოელებმა იკისრეს დაამზადონ 1.300 ტონა ჩაის ნედლეული.

მეჩაიეებმა სეზონის დასაწყისიდანვე გააჩაღეს ბრძოლა აღებულ ვალდებულებათა გასანაღდებლად. ეს მუშაობა მათ კიდევ უფრო გააძლიერეს მას შემდეგ, რაც გაეცნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წერილს ყველა მეჩაიე კოლმეურნის, საბჭოთა მეურნეობებისა და ჩაის ფაბრიკების მუშაკების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებისადმი.

სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღების მეოხებით წყალტუბოს რაიონმა 100,1 პროცენტით შეასრულა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის მაის-ივნისის გეგმა, ნაცვლად 520 ტონისა, მაის-ივნისში მოიკრიფა 520 ტონა და 383 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. რაიონმა ასევე გადაჭარბებით შეასრულა ივლისის გეგმაც.

კარგად იმუშავეს რაიონის მოწინავე კოლმეურნეობებმა. მათ არა მარტო მაის-ივნისისა და ივლისის გეგმა, არამედ წლიური გეგმაც კი შეასრულეს.

სოფელ ცხუნკურის შვრნიკის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამხ. ნ. ჯანელიძე) 30 ივლისისათვის 100,4 პროცენტით შეასრულა ჩაის კრეფის წლიური გეგმა. სულ მოკრეფილი 29 ტონიდან 22 ტონა ჩაის ფოთოლი პირველი ხარისხისაა. ამ კოლმეურნეობამ ვალდებულება აიღო წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფოს 16 ტონა ჩაის ფოთოლი და საშუალოდ ჰექტარზე მოსავლიანობა ოთხ ტონამდე აიყვანოს.

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფაში ყველაზე უკეთესი მაჩვენებლებისათვის ცხუნკურის შვრნიკის სახელობის კოლმეურნეობას გადაეცა საქართველოს კომპარტიის წყალტუბოს რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა.

სოფელ მაღლაკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამხ. შ. ჯავახაძე), სადაც 8 აგვისტოსათვის 108,5 პროცენტით შეასრულეს ჩაის კრეფის წლიური გეგმა, მოკრიფა 70 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი და იკისრა კიდევ მოკრიფოს 30 ტონა ჩაის ნედლეული.

ორივე კოლმეურნეობის წარმატებას ხელი შეუწყო მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვამ. მტკიცედ არის დამკვიდრებული ჩაის პლანტაციების სანმეურნეოდ მოვლის პრაქტიკა. აქ მრავლად აღიზარდნენ ჩაის ფოთლის კრეფის ოსტატები.

ცხუნკურის შვრნიკის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიეებმა ეულალია შალამბერიძემ, ლიდა ეფრემიძემ, თამარ კუტიკავამ, ვენერა თვალოძემ და მერი თვალოძემ ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა 160 პროცენტით შეასრულეს.

მაღლაკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში სახელი გაითქვა მეჩაიე ლილა ბიბილეიშვილმა. მან გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა. ქუქუნა ნიქაბაძემ ორმაგად გააღიდა წლიური დავალება.

მაგრამ რაიონში არიან ჩამორჩენილი კოლმეურნეობებიც. ჩაის ფოთლის კრეფის საქმეში უკანასკნელ ადგილზე არიან სოფელ მაღლაკის რუსთაველის და სოფელ გვიშტიბის მარქსის სახელობის კოლმეურნეობები. პირველ მათგანს წლიური გეგმა შესრულებული აქვს მხოლოდ 57,1 პროცენტით, ხოლო მეორეს — 59,8 პროცენტით.

რამ გამოიწვია ეს სანარცხვინო ჩამორჩენა? ამის მიზეზია შრომის ცუდი ორგანიზაცია და დაბალი დისციპლინა. გვიშტიბის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში, გარდა ერთი ბრიგადისა, რომელსაც კომუნისტი კ. ქაჯაია ხელმძღვანელობს, არც ერთ ბრიგადას არ შეუსრულებია ჩაის ფოთლის კრეფის წინა თვეების დავალება.

სამწუხაროა, მაგრამ მაინც ფაქტია, რომ ამ კოლმეურნეობაში ბევრი კომუნისტი და კომკავშირელი ცუდად ასრულებს ავანგარდულ როლს, ჩამორჩება ჩაის ფოთლის კრეფაში. ეს განსაკუთრებით შეეხება იმ ბრიგადას, რომელსაც აგრონომი, კომუნისტი გ. სილაგაძე ხელმძღვანელობს.

წყალტუბოელმა მეჩაიეებმა პირობა მისცეს პარტიას და მთავრობას წელს 1.300 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფონ. ეს ვალდებულება კიდეც უნდა შესრულდეს.

დ. გაბრიაძე,

გაზეთ „ახალი წყალტუბოს“ რედაქტორი.

რუსთავი. ქალაქის მარჯვენა ნაპირზე ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დროს აღმოჩენილ იქნა თიხის სამარხი. ნაპოვნი სამარხი მოთავსებული იყო ქვის ყუთში და წარმოადგენს ეგრეთწოდებულ საოჯახო სამარხის გავრცელებულ ტიპს. წინასწარი მონაცემებით იგი მიეკუთვნება ჩვენი წელთაღრიცხვის V-VI საუკუნეებს. **სურათზე:** რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი თ. პაატაშვილი (მარჯვნივ) და მუზეუმის მეცნიერი მუშაკი ჩ. კორძაია ათვალიერებენ უძველეს სამარხს.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

★

მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში

მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი საკმაოდ მდიდარია ექსპონატებით, კულტურის უძველესი ძეგლებით. აქ ინახება მრავალი უნიკალური ექსპონატი, რომლებიც მეტად საყურადღებო მასალას იძლევიან მხარის შესასწავლად, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხის გასარკვევად.

მთავარ დარბაზში წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ნაწილი ისტორიული ძეგლებისა, რომლებიც სვანეთის მოსახლეობის მატერიალური კულტურის მაღალ დონეზე მიგვითითებს. მუზეუმში თავმოყრილია ბრინჯაოს ხანის სხვადასხვა სახის საომარი და სამეურნეო იარაღი, რომლებსაც ძველი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნის პირველ ნახევარს აკუთვნებენ. აქვე ინახება თიხის წყალსადენი მილები, დამზადებული XI-XII საუკუნეებში და საბრძოლო იარაღი — მშვილდისრები, რომლებიც XII-XIII საუკუნეებს მიეკუთვნებიან.

მუზეუმი მდიდარია აგრეთვე ქართული ჭედვითი ხელოვნების ნიმუშებით. ისინი ნათლად მეტყველებენ ოქრომჭედლობის მაღალ დონეზე ძველ სვანეთში.

მუზეუმში ინახება თამარ მეფის მამის — მეფე გიორგი მესამისეული ვერცხლის სორა. საერთოდ მუზეუმში უხვად არის ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ამსახველი უძვირფასესი მასალები.

უნდა აღინიშნოს, რომ მუზეუმს არა აქვს მუშაობის სათანადო პირობები, პირველ რიგში კი შენობა. ფართობის სივიწროვის გამო არ ხერხდება მუზეუმში არსებული ძვირფასი ექსპონატების განყოფილებების მიხედვით გაწყობა და საბჭოთა პერიოდის ამსახველი მასალების გამოფენის მოწყობა.

საჭიროა მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისათვის შესაფერი შენობა იქნას გამონახული, რისთვისაც საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ სათანადო ზომები უნდა მიიღოს.

დ. ნიჟარაძე, *მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერი მუშაკი,* **რ. ჯაფარიძე,** *მესტიის რაიონული საბჭოს დეპუტატი,* **კ. ფალიანი,** *რაიონული გაზეთის „კოლქტიური შრომის“ რედაქტორი.*

ჩაის ფოთლის დამზადება

(„საქართველოს ჩაის“ ტრესტის 1957 წლის 16 აგვისტოს ცნობებით)

რაიონები	გეგმის შესრულება % -ობით წლიურისა	აგვისტოსი	რაიკომების მდივნები, რაიაღმასკომების თავმჯდომარეები
ბათუმინ	80,8	40,2	ს. ესაძე, ა. ანანიძე
ქობულეთის	72,1	28,6	ა. გოგიჩაიძე, ლ. წულუკიძე
ქედის	79,8	51,0	ვ. კიკვაძე, ვ. ნაკაშიძე
სულ აჭარაში	74,3	31,1	
გალის	64,7	14,9	დ. გოგოხია, ხ. ტუფფარია
ოჩამჩირის	74,0	25,9	ჩ. აბგაჯი, ტ. სოსელია
გულრიფშის	79,9	12,3	ლ. ელექჩიანი, შ. ბოკერია
სოხუმის	78,4	16,4	გ. ჭაჭია, პ. ცანავა
გუდაუთის	62,7	7,2	დ. ხვარცკია, კ. გერია
სულ აფხაზეთში	68,3	17,1	
მახარაძის	70,2	28,2	შ. ჭანუყვაძე, დ. საბაშვილი
ჩოხატაურის	71,5	22,6	ა. გობრონიძე, გ. მამალაძე
ლანჩხუთის	73,2	34,4	დ. მანწკავა, მ. ვადაჭკორია
სამტრედიის	65,4	17,5	ნ. ფანცულაია, მ. ასათიანი
წულუკიძის	51,7	8,9	ს. ლეჟავა, მ. ახმეიანიძე
ქუთაისის	63,0	15,1	მ. ბიბილაშვილი, ლ. ტაბიძე
წყალტუბოს	74,5	13,3	ვ. ურუშაძე, გ. გაგოშიძე
ტყიბულის	74,6	27,2	კ. ლომაძე, ი. გოირგომიანი
ცხაკაიას	55,4	14,2	ი. ურუშაძე, დ. ბალათურია
აბაშის	48,6	6,0	მ. ბოკერია, ა. ჯღარკავა
გეგეჭკორის	68,5	29,3	კ. ხუბულავა, გ. შეროზია
ზუგდიდის	63,5	19,0	მ. ღვინჯილია, ვ. ესარია
წალენჯიხის	77,6	37,9	ვ. კვარაცხელია, ი. ზარანდია
ჩხოროწყუს	71,7	28,6	მ. ცანავა, შ. ხუნტუა
ხობის	71,9	29,8	ა. წურწუმია, ს. ნასარაია
თერჯოლის	75,1	8,0	პ. სახეჩიძე, ი. შუღლაძე
ზესტაფონის	58,0	2,8	შ. ხიდაშელი, გ. არეკაძე
ჭიათურის	93,5	23,3	პ. აბესაძე, გ. ლომიძე
ვანის	108,0	—	გ. ლილუაშვილი, ა. ლომინაძე
სულ საქართველოს სსრ-ში	69,7	24,9	

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

ქუთაისის რაიონის სოფელ საყულიაში საგიტაციო-მასობრივი მუშაობის ჩაშლას შეეხებოდა რედაქციაში შემოსული კრიტიკული წერილი. საქართველოს კპ ქუთაისის რაიკომის მდივანი ამხ. მ. ბიბილაშვილი გვატყობინებს, რომ შემოწმებით წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. პარტიის რაიკომმა სპეციალურად შეისწავლა სოფელ საყულიაში საგიტაციო-მასობრივი მუშაობის მდგომარეობა და რაიკომის წარმომადგენლის მონაწილეობით ჩაატარა პირველადი პარტიული ორგანიზაციის ღია კრება, რომელმაც განიხილა შემოწმების შედეგები და დასახა ღონისძიებანი არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. მოწვეულ იქნა აგრეთვე აგიტატორთა თათბირი-სემინარი. დასახულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად სოფელ საყულიის კოლმეურნეობაში საგიტაციო-მასობრივი მუშაობა შედარებით გაუმჯობესდა.

• • •

რედაქციაში შემოსული წერილით მზილებული იყო მეხეთის რაიონის სოფლების ცხვარჭამიის და კევლიანის მაღაზიებში ვაჭრობის წესების დამახინჯება. შემოწმების შედეგად მცხეთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ზ. მირზიაშვილი გვატყობინებს, რომ ფასების დამახინჯებისა და ვაჭრობის წესების დარღვევისთვის გამყიდველი კ. დიდებაშვილი მოხსნილია სამუშაოდან, ხოლო ჩოხელი დასჯილ იქნა ადმინისტრაციული წესით. წერილში აღნიშნული სხვა ნაკლოვანებების გამოსასწორებლად მიღებულია საჭირო ზომები.

ნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის განხორციელება, კულტურული რევოლუციის გატარება, ეროვნული საკითხის გადაჭრა და საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობის შექმნა. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან ერთად, მის მდიდარ გამოცდილებაზე დაყრდნობით მარქსიზმ-ლენინიზმს შემოქმედებითად ავითარებენ და იყენებენ თავიანთი ქვეყნების თავისებურებათა შესაბამისად საზღვარგარეთის, კერძოდ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიები. მაგალითად, ჩინეთში სახალხო რევოლუციის გამარჯვება და სოციალიზმის წარმატებით მშენებლობა შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის ცხოველმყოფელობის კიდევ ერთი დადასტურებაა.

მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითს განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიულმა XX ყრილობამ, რომელმაც შეაჯამა და ლენინური პრინციპულობით შეაფასა პარტიის მიერ უკანასკნელ წლებში გაწეული გიგანტური მუშაობა, მოგვცა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის ღრმა ანალიზი, პასუხი გასცა თანამედროვეობის მთელ რიგ აქტუალურ საკითხებზე და დასახა კომუნიზმისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლის გრანდიოზული პროგრამა უახლესი წლებისათვის. ყრილობამ მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების შემოქმედებითი გამოყენების საფუძველზე დაამუშავა დებულებანი სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის, კაპიტალიზმიდან სოციალიზმში სხვადასხვა ქვეყნების გადასვლის ფორმების, თანამედროვე ეპოქაში ომების თავიდან აცილების შესაძლებლობის შესახებ.

ჩვენი პარტიის XX ყრილობის ამ დასკვნების ისტორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ხელს უწყობენ მშვიდობის შენარჩუნებას, ყველა ქვეყნის მუშათა კლასის ინტერნაციონალური ერთიანობის შემდგომ განმტკიცებას, მუშათა კლასის გარშემო მთელი პროგრესული ძალების დარაზმვას და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შემდგომ განვითარებასა და გაძლიერებას.

XX ყრილობის შემდეგ კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა კიდევ უფრო მაღლა ასწიეს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მარქსისტულ-ლენინური დროშა. მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი ინტერნაციონალური მოძღვრება შემდგომ ვითარდება და მდიდრდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის და ყველა მოძმე კომუნისტური პარტიების პრაქტიკული გამოცდილებით.

მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი განვითარების პროცესში კომუნისტური პარტიები ახლაც, ისევე როგორც წინათ, ბრძოლას აწარმოებენ დოგმატიზმისა და რევიზიონიზმის წინააღმდეგ. დოგმატიკოსები და მედავითნეები ახალისა არ უშვებენ საზოგადოების განვითარების ახალ მოთხოვნილებებს, ზურგს აქცევენ ხალხის ცხოვრებას, პრაქტიკას და უარყოფენ მარქსიზმ-ლენინიზმის განვითარების აუცილებლობას ახალი ამოცანების შესაბამისად. ასე იქცეოდა, სახელდობრ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მიერ მხილებული მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფი. ამ ჯგუფის მონაწილენი და მათთან მიმხრობილი შეპილოვი მოსწყდნენ ჩვენი ქვეყნის ცხოვრებას, ხალხს, ისინი გადაიქცნენ სექტანტებად, დოგმატიკოსებად და მედავითნურ მიდგომას იჩენდნენ მარქსიზმ-ლენინიზმისადმი. ამ ანტიპარტიული ჯგუფის გაანადგურება, ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილების ერთსულოვანი მოწონება მთელი ჩვენი პარტიისა და ხალხის მიერ — ეს არის პარტიის გენერალური ხაზის ახალი გამარჯვება, შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის გამარჯვება დოგმატიზმზე.

კომუნისტური პარტია შეურიგებელ პრინციპულ ბრძოლას აწარმოებს რევიზიონიზმის წინააღმდეგაც. დიდმა ლენინმა უანდერძა ჩვენს პარტიას თვალისჩინივით გაუფრთხილდეს მარქსიზმის იდეურ სიწმინდეს. რა თქმა უნდა, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეური სიწმინდის დაცვა არ ნიშნავს მის უბრალო დაზეპირებას, როგორც დოგმატიკოსებს ჰგონიათ. მარქსიზმ-ლენინიზმი მუდმივად ვითარდება და იზრდება ცოცხალი პრაქტიკის საფუძველზე. მაგრამ რევიზიონისტები დოგმატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ნიღბით ცდილობენ ისე „გახაახლონ“ მარქსიზმ-ლენინიზმი, რომ გამოაცალონ კომუნისტური პარტიის ისოფლმხედველობას მისი რევოლუციური სული, დაამახინჯონ მარქსიზმ-ლენინიზმი და ამით იდეურად განაიარაღონ მუშათა კლასი. ამ მიზნის მისაღწევად თანამედროვე რევიზიონისტები მთავარ დარტყმას მიმართავენ უწინარეს ყოვლისა მარქსიზმ-ლენინიზმის ისეთი ძირეული დებულებების წინააღმდეგ, როგორიც არის მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების აუცილებლობის, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის შესახებ. შემთხვევითი როდია, მაგალითად, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის მტრებმა ხელი ჩასჭიდეს ეგრეთწოდებულ „ნაციონალურ კომუნიზმს“, რომლითაც ისინი ცდილობენ დაუპირისპირონ ცალკეულ ქვეყნებში სოციალისტური მშენებლობის თავისებურებანი იმ საერთოს, რაც დამახასიათებელია სოციალიზმის მშენებელი ყველა ქვეყნისათვის და ამით გათიშონ, ერთმანეთს გადაჭიდონ სხვადასხვა ქვეყნის კომუნისტური პარტიები. ამიტომაც გმობენ და ნიღაბს ხდიან კომუნისტური პარტიები „ნაციონალურ კომუნიზმს“, როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის წინააღმდეგ მიმართულ იდეოლოგიურ დივერსიას.

მარქსიზმ-ლენინიზმი ყოველთვის აღიარებდა და არც ახლა უარყოფს სოციალიზმის მშენებლობის ფორმების სხვადასხვაობას სხვადასხვა ქვეყნებში. მაგრამ ეს სხვადასხვაობა სრულიადაც არ გამორიცხავს სოციალისტური მშენებლობის მთავარ საერთო ნიშნებსა და კანონზომიერებებს. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და სოციალიზმის აშენების ასეთი მთავარი ნიშნები და კანონზომიერებებია: პროლეტარიატის დიქტატურა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლი, ყოველნაირად განმტკიცება მუშათა კლასის კავშირისა გლეხობის ძირითად მასებთან და მშრომელთა სხვა ფენებთან; კაპიტალისტური საკუთრების ლიკვიდაცია და საზოგადოებრივი საკუთრების დამყარება წარმოების ძირითად საშუალებებზე მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, ამ საფუძველზე ეკონომიკის გეგმიანი ხასიათი; სოციალისტური სახელმწიფოს ყოველნაირად განმტკიცება რევოლუციის მოსავართა დაცვისათვის კლასბრძოლის ტრების ხელყოფისაგან. მარქსიზმ-ლენინიზმის ეს დებულებანი ურყევია. ამ დებულებებზე უარის თქმა ნიშნავს უარის თქმას მარქსიზმზე და გადასვლას ბურჟუაზიული იდეოლოგიის მხარეზე.

ამიტომ არის, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის დაცვისა და შემოქმედებითი განვითარების პროცესში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყველა ქვეყნის კომუნისტური პარტიების მხარდამხარ გადამწყვეტ, პრინციპულ ბრძოლას ეწევა მარქსიზმ-ლენინიზმის ყოველგვარი დამახინჯების წინააღმდეგ, საერთოდ ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ. სოციალისტური სისტემისა და კაპიტალისტური სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის აღიარება სრულიადაც არ ნიშნავს სოციალისტური და ბურჟუაზიული იდეოლოგიის მშვიდობიან თანაარსებობას. ეს ორი იდეოლოგია ისევე შეურიგებელია, როგორც მშრომელთა და ექსპლოატატორთა ინტერესები.

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება ურყევი თეორიული საფუძველია ჩვენი პარტიის პოლიტიკისა, რომელიც მიმართულია საბჭოთა სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისაკენ, ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის ამაღლებისაკენ, კომუნიზმის აშენებისაკენ. შემოქმედებითს მარქსიზმ-ლენინიზმს რომ ემყარება, პარტია გაბედულად სახავს ახალ კონკრეტულ ამოცანებს და ძლევს ყველა დაბრკოლებას, რომლებიც ხელს უშლის ამ ამოცანების განხორციელებას, საბჭოთა საზოგადოების წინსვლას კომუნიზმისაკენ. ცნობილია, მაგალითად, რომ კომუნიზმზე გადასვლისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადაწყვეტას. ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის აუცილებელია მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის, კერძოდ, მრეწველობის, უწინარეს ყოვლისა, მძიმე მრეწველობის შეძდგომი განვითარება სწრაფი ტემპით. ამის მიღწევა მნიშვნელოვნად არას დამოკიდებული მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ფორმებზე. მაგრამ ეს ფორმები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეასრულებდნენ დიდ როლს ჩვენი მრეწველობის შემდგომ სწრაფ განვითარებაში, თუ ისინი შესაბამისი იქნებოდნენ მრეწველობის განვითარების თანამედროვე დონისა. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ სამინისტროებისა და უწყებების საშუალებით მრეწველობის მართვის ფორმამ, მართალია, თავის დროზე დიდი როლი შეასრულა მრავალდარგოვანი სოციალისტური მრეწველობის შექმნისა და განვითარებაში, მაგრამ ახლანდელ ეტაპზე იგი ხელს ვეღარ უწყობდა სამრეწველო წარმოების სწრაფ ზრდას. ამიტომ საჭირო გახდა მრეწველობის მართვის მოძველებული ფორმის შეცვლა ახალი ფორმით, გარკვეულ სამინისტროთა და უწყებათა მაგვრად ეკონომიურ-ადმინისტრაციული რაიონების სახალხო მეურნეობის საბჭოების შექმნა. ამით შესაძლებელი გახდა ხელმძღვანელობის მიახლოება წარმოებასთან, მისი ოპერატიულობისა და ქმედითობის დონის ამაღლება.

მრეწველობის მართვის ახალი ფორმები ხელს უწყობენ მშრომელთა და ადგილობრივ ორგანოთა შემოქმედებითი ინიციატივის გაძლიერებას, რაც ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომი ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა. ამასთან, ცხადია, სოციალისტური სახალხო მეურნეობის მართვის ურყევ პრინციპად კვლავ რჩება დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინური პრინციპი. ეს მაგალითიც იმის მაჩვენებელია, რომ კომუნისტური პარტია შემოქმედებითად იყენებს მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებს პრაქტიკაში. როგორც ყოველთვის, ახლაც პარტია ულმობლად იბ

საერთაშორისო მიმოხილვა

იმპერიალისტები ხრიკებს განაგრძობენ

სწორედ იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირი სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყანასთან მჭიდრო თანამეგობრობით ახორციელებს ღონისძიებებს უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრობლემების რაც შეიძლება მალე მოწესრიგებისათვის და ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის, დასავლეთის იმპერიალისტური წრეები განაგრძობენ „ცივი ომის“ გაჩაღების თავიანთ კურსს. უკანასკნელი დროის ამბები მოწმობენ, რომ ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობისა და უშიშროების წინააღმდეგ მათი ხრიკები ძლიერდება. დასავლეთის სახელმწიფოები ფუშავენ განიარაღების საკითხებზე რაიმე შეთანხმების დადებას და ამავე დროს ეწევიან ატომური ომის უგუნურ პროპაგანდას, განაგრძობენ ხრიკებს ხალხთა მშვიდობიანი ცხოვრების წინააღმდეგ. მათ ატეხეს ავაზაკური ომი ომანის ხალხის წინააღმდეგ, აწყობენ შეთქმულებებს სირიისა და არაბთა სხვა ქვეყნების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. მაგრამ განსაკუთრებით ღვარძლიანად გამოდიან ისინი საბჭოთა კავშირის მიმართ. ცდილობენ რა ცილი დასწამონ ჩვენს სამშობლოსა და სოციალისტური ბანაკის სხვა სახელმწიფოებს, ისინი არ თაკილობენ არავითარ საშუალებას და ამ უკანასკნელ დღეებში კვლავ ამოთრიეს „ცივი ომის“ არსენალიდან ეგრეთწოდებული „უნგრეთის საკითხი“. ამ საბაბად მათ გამოიყენეს „ხუთთა კომიტეტის“ ყბადაღებული მოხსენება უნგრეთის შარშანდელი ამბების შესახებ.

საჭირო არ არის დაწვრილებით ვილაპარაკოთ თავიდან ბოლომდე ყალბ და ცილისმწამებლურ ამ „დოკუმენტზე“, რომლის განხილვასაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიაზე მოითხოვენ ახლა ამერიკის შეერთებული შტატები. ეს მოხსენება შედგენილია უნგრელი ხალხის მძვინვარე მტრების ჩვენებათა საფუძველზე, რომლებიც უნგრეთიდან გაიქცნენ კონტრრევოლუციის განადგურების შემდეგ, და მთავარ მიზნად ისახავს ჩრდილი მიაყენოს საბჭოთა კავშირს, რომელიც უნგრეთის მთავრობის თხოვნის შესაბამისად დაეხმარა სახალხო უნგრეთს შეენარჩუნებინა თავისი სოციალისტური მონაპოვარნი.

უგულებელყოფენ რა ყოველივე ამას, დასავლეთის იმპერიალისტური წრეების ომისმოტრფიალე წარმომადგენლები მანიაკის ჩლუნგი ჯიუტობით კვლავ ცდილობენ „ხუთთა კომიტეტის“ განცხადებაში უნგრეთის კონტრრევოლუციური ამბები დახატონ როგორც ვითომდა „რევოლუციური“, ხოლო საბჭოთა კავშირი — როგორც „აგრესორი“. ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის წარმომადგენლები ამისათვის ემზადებოდნენ ჯერ კიდევ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის უკანასკნელ სესიაზე და გააფორმებით ცდილობდნენ გაეგზავნათ უნგრეთში თავიანთი „მეთვალყურენი“ „გამოკვლევისათვის“. მაგრამ ამ ცდებს წარმატება არ მოჰყოლია, რადგან უნგრელმა ხალხმა არ მოისურვა თავის ქვეყანაში შეეშვა იმპერიალისტი წამქეზებლები. მაშინ მათ თავიანთი აგენტები გაგზავნეს უნგრეთის მეზობელ ავსტრიაში, ახლა კი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში „ხუთთა კომიტეტის“ მოხსენების განხილვის საბაბით, სურთ „გამოაცოცხლონ“ ეგრეთწოდებული „უნგრეთის საკითხი“ და განაგრძონ ცილისმწამებლური კამპანია საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ.

მაგრამ ეს გეგმები საკადრის წინააღმდეგობას აწყდება. უნგრეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სავსებით ამხილა „ხუთთა კომიტეტის“ ნაყალბევი და მუშურ-გლეხური მთავრობის სახელით განაცხადა: უნგრეთი არ მოითმენს უცხოეთის რაიმე ჩარევას თავის საშინაო საქმეებში. ამასთანავე უნგრეთის მთავრობამ კვლავ განაცხადა, რომ უნგრეთში კონტრრევოლუციური ამბოხების დროს მისი მიმართვა საბჭოთა კავშირისადმი ნაკარნახევი იყო „უნგრელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებით“ და მისი მისწრაფებით „უკუუგდო კონტრრევოლუციური ბანდებისა და დასავლეთის იმპერიალისტების საზიზღარი გამოხდომა“.

უნგრეთისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დასავლეთის იმპერიალისტების პროპაგანდისტული იერიშების განახლებამ დიდი აღშფოთება გამოიწვია უნგრელ ხალხში. ახლა მთელ უნგრეთში აზვირთდა პროტესტები „ხუთთა კომიტეტის“ მოხსენების წინააღმდეგ. მასობრივ მიტინგებსა და კრებებზე მშრომელები ერთსულოვნად აცხადებენ: „ხელები შორს უნგრეთისაგან!“ ერთ-ერთ რეზოლუციაში, რომელიც მიღებულია ბუდაპეშტის მუშების მასობრივ მიტინგზე, ნათქვამია: „უნგრეთს სურს მშვიდობით იცხოვროს ყველა ხალხთან, მაგრამ უნგრელი ხალხი არავის მისცემს ნებას, რომ ვინმე ყალბი განცხადების, ჯაშუშობისა და სხვა საზიზღარი მეთოდების გზით ჩაერიოს ჩვენს საშინაო ცხოვრებაში“.

ეს განცხადება უნგრეთის მთელი მშრომელი ხალხის ხმაა. და რა საზიზღრად და უბადრუკად გამოიყურება ამ განცხადების მიხედვით „ხუთთა კომიტეტის“ მოხსენების ის ყალბი მტკიცება, თითქოს უნგრეთში „არ იყოს რაიმე ნიშანი, რომელიც მოწმობდეს, რომ უნგრეთის მუშები მხარს უჭერენ კადარის მთავრობას“. ასეთი განცხადება ჭეშმარიტად გასაოცარია თავისი უაზრობითა და უბადრუკობით. სულ ამ ცოტა ხნის წინათ შოტლანდიელ მაღაროელთა დელეგაციამ გამოაქვეყნა ანგარიში უნგრეთში მოგზაურობის შესახებ. დეტალურად გაეცნენ რა უნგრეთის მდგომარეობას, მაღაროელები აცხადებენ: „უნგრეთის რესპუბლიკის მშრომელები მხარს უჭერენ კადარის მთავრობას და მის პოლიტიკას, და ეს ომის გარანტიაა, რომ ისინი შეძლებენ წარმატებით გადაჭრან თავიანთი ქვეყნის წინაშე მდგომი ამოცანები“. ასეთსავე აზრს ადგას ბევრი უცხოელი, რომელიც ამ უკანასკნელ ხანს უნგრეთში იყო. მაგრამ, გასაგები მიზეზებით, „არც ხუთთა კომიტეტის“ მოხსენების ავტორებს, არც მათს შთამგონებლებს არ უნდათ დაინახონ ეს.

ხოლო ადამიანი ბრმა უნდა იყოს, რომ ვერ დაინახოს, თუ რა აღფრთოვანებით მუშაობენ უნგრეთის მშრომელები, რათა აღმოფხვრან კონტრრევოლუციური ამბოხების შედეგები, რა აქტიურად უჭერენ მხარს მთავრობის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სახალხო ხელისუფლების განმტკიცება და სოციალიზმის მშენებლობა. უნგრელი ხალხი სწყვეტს კონტრრევოლუციონერებს და მათს საზღვარგარეთელ შთამგონებლებს, რომლებსაც სურდათ ხელეყოთ მისი ცხოვრება, და გადაჭრით აცხადებს: გასული წლის შავბნელი ამბები არასოდეს არ გამეორდება.

რა პირმოთნეობის ნიღაბიც უნდა აიფარონ იმპერიალისტებმა, თავისუფლებისა და დემოკრატიის „დამცველთა“ რა საზრისელიც უნდა ჩაიცვან, მათი ნამდვილი ზრახვები აშკარაა. მათ ძალიან სურთ კვლავ დანერგონ უნგრეთში კაპიტალისტური წესწყობილება. მაგრამ რამდენადაც ეს მათ არ ძალუძთ, მშვიდობისა და სოციალიზმის მტრები ყოველნაირად ცდილობენ გააჩაღონ ცილისმწამებლური კამპანია უნგრელი ხალხისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ამაოდ ცდილობენ ჩამოაშორონ საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღება თავიანთ დანაშაულობებს კაცობრიობის წინააღმდეგ.

დ. ბოჩაროვი.

ინდონეზიის დამოუკიდებლობის გამოცხადების მე-12 წლისთავი

ინდონეზიის პარლამენტის საგანგებო სხდომა

ჯაკარტა, 17 აგვისტო. (საკდესი). დღეს გაიმართა ინდონეზიის რესპუბლიკის პარლამენტის საგანგებო სხდომა, რომელიც მიეძღვნა ინდონეზიის დამოუკიდებლობის გამოცხადების მე-12 წლისთავს. სხდომას ესწრებოდნენ პარლამენტის დეპუტატები, მთავრობის წევრები პრემიერ-მინისტრის ჯუანდას მეთაურობით, საზოგადოებრივობისა და შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები, ინდონეზიელი და უცხოელი ჟურნალისტები.

გახსნა რა სხდომა, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ არუჯი კარტავინატამ ყველა დამსწრეს მიულოცა ეროვნული დღესასწაული.

აღნიშნა რა, რომ ამჟამად ჯერ კიდევ არ განხორციელებულა ინდონეზიელი ხალხის ოცნება სამართლიანი და აყვავებული საზოგადოების შექმნის შესახებ, კარტავინატა შეეხო ჯუანდას კაბინეტის პროგრამას. მან მოიწონა მთავრობის პროგრამა, რომელიც სახავს მდგომარეობის ნორმალიზაციას რესპუბლიკაში, იმას, რომ გაგრძელდეს ბრძოლა მრგვალი მაგიდის კონფერენციის ჰოლანდია-ინდონეზიის შეთანხმებათა შედეგების ლიკვიდაციისათვის, გაგრძელდეს ბრძოლა დასავლეთ ირიანის ინდონეზიასთან გაერთიანებისათვის, ეროვნული მშენებლობის აქტივიზაციისათვის და სხვ. კარტავინატამ განაცხადა, რომ ჯუანდას მთავრობა უკვე ახორციელებს ამ პროგრამას, და აღნიშნა, რომ პარლამენტი ესწრაფვის დაეხმაროს მთავრობას მის საქმიანობაში.

შემდეგ გამოვიდა ინდონეზიის პრემიერ-მინისტრი ჯუანდა. მან განაცხადა, რომ ინდონეზიის დამოუკიდებლობის მე-12 წლისთავისათვის მთავრობამ ერთგვარ წარმატებებს მიაღწია თავის მოღვაწეობაში.

საშინაო პოლიტიკის დარგში, თქვა პრემიერ-მინისტრმა, მთავრობა ისწრაფოდა მიეღწია პოლიტიკური მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის რესპუბლიკაში და მოეწყო გეგმიანი მშენებლობა სახელმწიფოს შესაძლებლობათა შესაბამისად.

ჯუანდამ განაცხადა, რომ მთავრობამ პარლამენტის განსახილველად წარადგინა ინდონეზიის ეკონომიური განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმა.

მრგვალი მაგიდის კონფერენციის შეთანხმებათა შედეგების ლიკვიდაციის მიზნით, თქვა ჯუანდამ, მთავრობამ მიიღო მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც ზღუდავენ უცხოეთის კომპანიების საქმიანობას ინდონეზიაში, და განზრახულია შემდგომშიც განვახორციელოთ ეს კურსი.

გადავიდა რა საგარეო პოლიტიკის საკითხებზე, ინდონეზიის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ თავის მთავარ ამოცანად ამ დარგში მთავრობას მიაჩნია ბრძოლა მშვიდობისათვის და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, ბრძოლა სახელმწიფოთა შორის ურთიერთნდობის განმტკიცებისათვის. ინდონეზიის მთავრობა, თქვა ჯუანდამ, თავის საგარეო პოლიტიკას აშენებს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებზე. მთავრობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, ხაზგასმით აღნიშნა მან, განაგრძოს აქტიური ბრძოლა დასავლეთ ირიანის შემოერთებისათვის.

ინდონეზია, განაცხადა ჯუანდამ, კვლავაც განახორციელებს აქტიური ნეიტრალიტეტის პოლიტიკას და იბრძოლებს იმისათვის, რომ სამართლიანად გადაიჭრას დასავლეთ ირიანის საკითხი.

მაქს რაიმანის გამოსვლა რადიოთი

ბერლინი, 17 აგვისტო. (საკდესი). დღეს, დასავლეთ გერმანიის ხელისუფლების მიერ გერმანიის კომუნისტური პარტიის აკრძალვის წლისთავის დღეს, გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა მ. რაიმანმა სიტყვა წარმოთქვა რადიოსადგურით „დოიჩე ფრაიჰაიტსზენდერ 904“.

მ. რაიმანმა გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით გერმანიის კომუნისტური პარტიის ყველა წევრს მადლობა გადაუხადა პარტიის საქმისადმი, მუშათა კლასის საქმისადმი ერთგულებისათვის. მან მადლობა გადაუხადა აგრეთვე ყველას, ვინც მხარს უჭერს გერმანიის კომპარტიის ბრძოლას მისი ლეგალობის აღიარებისათვის. მაქს რაიმანმა მადლობა გადაუხადა გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიასა და ყველა მეგობარსა და ამხანაგს — საერთაშორისო მუშათა მოძრაობის წარმომადგენლებს ძმური სოლიდარობისათვის, დახმარებისათვის, რომელსაც უწევენ ისინი გერმანიის კომპარტიას და გერმანელ ხალხს მშვიდობისა და დემოკრატიისათვის, გერმანიის დემოკრატიულ პროგრესულ სახელმწიფოდ გაერთიანებისათვის ბრძოლაში.

გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უსუსურია დასავლეთ გერმანიის მმართველი წრეების ცდები ჩაფუშონ გერმანიის კომუნისტური პარტიის საქმიანობა. მან რწმენა გამოთქვა, რომ საყოველთაო-სახალხო ბრძოლის მსვლელობაში გერმანიის კომპარტია კვლავ მოიპოვებს თავის სრულ ლეგალობას. ჩვენმა მტრებმა, თქვა მ. რაიმანმა, კარგად იციან ჩვენი პარტიის ძალა. მათ ახლა უნდა აღიარონ, რომ აკრძალვამ არ მოიტანა მათთვის სასურველი შედეგები. პარტიის სწორი პოლიტიკა, მიუხედავად იმისა, რომ იგი იატაკქვეშეთში მუშაობს, სულ უფრო მეტ ზემოქმედებას ახდენს მუშათა კლასზე, მშრომელებზე.

მ. რაიმანმა მოუწოდა, რომ გერმანიის კომუნისტური პარტიის მთელი ძალები ჩაეგნო დასავლეთ გერმანიაში წინასაარჩევნო ბრძოლაში იმისათვის, რომ გადამწყვეტი დამარცხება მიაყენონ ადენაუერის პარტიას.

მდგომარეობა ომანში

პარიზი, 18 აგვისტო. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი კაიროდან იუწყება, ომანის იმამის წარმომადგენელმა მუჰამედ ელ-ხარსიმ დღეს განაცხადა, რომ ინგლისელთა ყველა იერიში მათ მიერ გარშემორტყმულ ფორტ იბკის წინააღმდეგ მოგერიებულია.

შემდეგ ხარსიმ თქვა, რომ ბრძოლა გრძელდება და რომ ინგლისის განცხადებას, თითქოს ყოველგვარი შეიარაღებული წინააღმდეგობა შეწყდა, არავითარი საფუძველი არა აქვს.

ინდონეზიელ ჯაშუშთა ბანდის ლიკვიდაცია

ბანდუნგი, 17 აგვისტო. (საკდესი). ინდონეზიელ ჯაშუშთა ბანდა, რომელიც ინდონეზიის ტერიტორიაზე ინგლისელ-ამერიკელ ჯაშუშებს ინფორმაციას აწვდიდა ინდონეზიელ ეროვნულ მოღვაწეთა, ინდონეზიელ ოფიცრებსა და ინდონეზიელ ეროვნულ ჯარებზე, ლიკვიდაციას ექვემდებარა.

ინდოეთ-ჩინეთის ურთიერთობა

ნიუ-დელი, 17 აგვისტო. (საკდესი). ინდოეთ-ჩინეთის ურთიერთობა ბოლო ხანს ფრაზეოლოგიურ ომად ქცეულ ინდურ-ინგლისურ ურთიერთობას ჰგავს. ინდოეთ-ჩინეთის ურთიერთობა ინდოეთ-ინგლისის ურთიერთობის ანარეკლად ქცეულ,